ახალი განათლება

2011 წელი, 16 - 22 ივნისი

ფასი 1 ლარი

№23 (537) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

2011 წლის საუკეთესო დაჯილდოვდნენ

15 ივნისს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** 2011 წლის საუკეთესო მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი, მანდატურები, კერძო და საჯარო სკოლა და ასევე საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დააჯილდოვა. ნომინაციებში გამარჯვებულებს მინისტრმა სპეციალურად დაწესებული ჯილდოები გადასცა და აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის წაახალისებს წარმატებულ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და დირექტორებს, საუკეთესო კერძო და საჯარო სკოლებს, რათა მათ ჰქონდეთ მოტივაცია, კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიონ.

დიმიტრი შაშკინი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„საერთაშორისო პარტნიორების მიერ აღიარებულია, რომ საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა წარმატებულია. წარმატებულია იმის გამო, რომ ჩვენს სკოლებში ასწავლიან ისეთი პედაგოგები, როგორიც არის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ქიმიის პედაგოგი* ***ეთერ ელოშვილი****; წარმატებულია იმის გამო, რომ ჩვენს სკოლებში სწავლობენ ისეთი ბავშვები, როგორიც არის 122-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე* ***სანდრო სახვაძე;*** *ჩვენ გვაქვს ისეთი წარმატებული სკოლები , როგორიც არის მე-10 საჯარო სკოლა; ჩვენი საზოგადოების 70 პროცენტი ენდობა განათლების სისტემას იმის გამო, რომ გვყავს ისეთი სკოლის დირექტორები, როგორიც არის თბილისის 157-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი* ***შორენა ბუნტური****; ჩვენი კერძო სკოლები წარმატებულია იმის გამო, რომ გვაქვს ისეთი სკოლები როგორიც არის ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა „თბილისი“; მოსახლეობის 81 პროცენტი ამბობს, რომ ჩვენი სკოლები არის უსაფრთხო, რადგან გვყავს ისეთი მანდატურები როგორიც არის ქუთაისის 30-ე საჯარო სკოლის მანდატური –* ***ეკა ენუქიძე****, რუსთავის მე-10 საჯარო სკოლის მანდატური* ***ივანე გოგინაშვილი****, გორის მე-3 საჯარო სკოლის მანდატური* ***ზურაბ ლალიძე****, რომლებიც ზრუნავენ ჩვენი ბავშვების უსაფრთხოებაზე.*

მოსწავლეების 70-მა პროცენტმა აირჩია ინგლისური ენა არა იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია ინგლისური ენის შესწავლა, არამედ იმის გამო, რომ ჩვენთან მუშაობენ (პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში საქართველოში ჩამოსულია, დაახლოებით, 1000 პედაგოგი აშშ-დან, კანადიდან, დიდი ბრიტანეთიდან) ისეთი პედაგოგები, როგორიც არის ***კათრინ ბრემი*** *(გერმანელი მოხალისე პედაგოგი), რომელიც გარდა ინგლისურისა, თავისი ინიციატივით, გერმანულ ენასაც ასწავლის ბავშვებს. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა ადამიანს და გითხრათ, რომ განათლების სისტემა იქნება წარმატებული სანამ ისეთი ხალხი, როგორიც არის ყვარლის რესურსცენტრის უფროსი* ***ქეთევან ჭიპაშვილი*** *იმუშავებს ჩვენს სისტემაში. ჩემთვის დიდი პატივია ამ ხალხთან ერთად მუშაობა და იმ რეფორმის განხორციელება, რომელიც განათლების სისტემაში წარმატებით მიმდინარეობს“.*

მომავალში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ყოველწლიურად გამოვლინდება წარმატებული მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი, მანდატური, კერძო და საჯარო სკოლა და საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

წამიერი შეგრძნებების, საგანთა ხედვის სიტყვიერი გადმოცემა

გვერდი 4

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტთან ერთად, კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი გამოავლინა.

ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა სასკოლო წიგნების გრიფირებასთან დაკავშირებულ კორუფციული გარიგების მცდელობას. კერძოდ, შპს „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლებმა – **დავით ცეცხლაძემ** და **ნიკოლოზ ბაქარაშვილმა** მათ მიერ უცხოეთიდან შემოტანილი წიგნებისთვის გრიფის მინიჭების სანაცვლოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მაღალჩინოსანს, ქრთამის სახით, 50 ათასი აშშ დოლარი შესთავაზეს.

იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ შეთავაზებულ წიგნებს გრიფი მიენიჭებოდა და სკოლებში ამ სახელმძღვანელოებით სწავლება სავალდებულო გახდებოდა, გარდა 50 ათასი დოლარისა, ეჭვმიტანილები სამინისტროს თანამშრომელს, ქრთამის სახით, მოგების 33%-საც სთავაზობდნენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთობლივი ოპერატიული მუშაობის შედეგად, სამართალდამცველებმა აღნიშნული პიროვნებები ქრთამის გადაცემის ფაქტზე დააკავეს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მოქალაქე ვერ აცნობიერებს იმას, რომ ნეპოტური და კორუფციული გარიგებების დრო დასრულდა. ნებისმიერი უკანონო ქმედება მკაცრად კონტროლდება და მას კანონის შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე და არაკორუმპირებული უწყებაა. სამინისტრო კვლავ გააგრძელებს მსგავსი ფაქტების მოკვლევას და არავის მისცემს უფლებას, საკუთარი კეთილდღეობა ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობის განათლების ხარჯზე მოიწყოს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში I-VI კლასებისთვის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი დასრულდა. ამ თემასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა **ნათია ჯოხაძემ** კონკურსის შედეგები შეაჯამეს.

სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების ძირითადი არსი სკოლებისა და მოსწავლეების ხარისხიანი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაა. მისი მიზანია დაადგინოს, გრიფის

მისანიჭებლად წარმოდგენილი წიგნები რამდენად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რამდენად გამართულია შინაარსობრივად, მეთოდურად და ტექნიკურად.

წელს გრიფირების წესში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა: შემუშავდა გრიფის მინიჭების პროცედურის ახალი მიდგომები და პრინციპები; დაიხვეწა საკონკურსო პროცედურები; მკაცრად განისაზღვრა სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმები, სახელმძღვანელოების ტექნიკური პარამეტრები და სახელმძღვანელოს შეფასების პროცედურა და მეთოდიკა.

კერძოდ, სახელმძღვანელოების კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს – ავტორებს/ავტორთა ჯგუფებს. კონკურსანტებს უნდა წარმოედგინათ სახელმძღვანელო/სახელმძღვანელოების სერია, რომელიც წარმოადგენს ზოგადი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, ერთსა და იმავე კონცეფციაზე აგებულ, ერთი საგნის სახელმძღვანელოების ნაკრებს ყველა იმ კლასის/დონის საგნისათვის, რომლისთვისაც არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი პროგრამა.

სახელმძღვანელო/სერია შეფასდა „სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმებითა“ და „სახელმძღვანელოს მაკეტის ტექნიკური პარამეტრებით“. დაწესდა ქულობრივი ბარიერი, სადაც განისაზღვრა, რომ სახელმძღვანელოს/სახელმძღვანელოების სერიას უნდა გადაელახა მაქსიმალური ჯამური ქულების 90% (შინაარსობრივი) ბარიერი, სხვა შემთხვევაში წიგნს გრიფი არ მიენიჭებოდა.

2011-2012 სასწავლო წელს, I-VI კლასებში, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ამოქმედდება, მოსწავლეები კი ახალი, ხარისხიანი სახელმძღვანელოებით იქნებიან უზრუნველყოფილნი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** იმ კურსდამთავრებულთა ათეულს შეხვდა, რომლებმაც საატესტატო გამოცდებზე ყველა საგანში საუკეთესო შედეგი აჩვენეს. მინისტრმა მათ პირველი დიდი წარმატება მიულოცა და პერსონალური კომპიუტერებით დაასაჩუქრა.

დიმიტრი შაშკინმა ჩატარებული საატესტატო გამოცდები დადებითად შეაფასა და კმაყოფილება გამოთქვა იმ შედეგებით, რაც კურსდამთავრებულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აჩვენა.

CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარებული საატესტატო გამოცდები საქართველოს 1520 საჯარო და კერძო სკოლაში ჩატარდა. რვადღიანი საგამოცდო პროცესი, სამინისტროს მიერ გატარებული კომპლექსური ღონისძიებების

საფუძველზე, წარმატებულად და ხარვეზების გარეშე წარიმართა. მოსწავლეთა 30%-მა ცოდნის მაღალი დონე გამოავლინა და, შესაბამისად, მაღალი შეფასება დაიმსახურა, მათგან ხუთმა პროცენტმა კი საუკეთესო შედეგი აჩვენა.

გამოცდა 8 საგანში ჩატარდა: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ერთ-ერთი), მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. საატესტატო გამოცდები 23 მაისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო და 1 ივნისს მათემატიკის გამოცდით დასრულდა. საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები გამოცდებს მშობლიურ ენაზე აბარებდნენ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

IBSU

აცხადებს კონკურსს ქვემოთ ჩამოთვლილი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:
ასოცირებული პროფესორი – 1
შემდეგ სპეციალობაში: ამერიკული რომანი;
ასოცირებული პროფესორი – 1
შემდეგ სპეციალობაში: ამერიკის ღირსშესანიშნაობები; კითხვა (მაღალი დონე)

კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი:
ასოცირებული პროფესორი – 1
შემდეგ სპეციალობაში: ინფორმაციული უსაფრთხოება და ქსელის უსაფრთხოება

ბიზნესის მართვის ფაკულტეტი:
ასოცირებული პროფესორი – 1
შემდეგ სპეციალობაში: ფინანსები

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:
ასისტენტ-პროფესორი – 1
შემდეგ სპეციალობებში: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგია

განათლების ფაკულტეტი:
ასოცირებული პროფესორი – 1
შემდეგ სპეციალობებში: ინგლისური ენა – აუდირება – მაღალი დონე, დაწყებითი სკოლის ფსიქოლოგია, ლიდერობა სკოლაში, გლობალური განათლება;
ასოცირებული პროფესორი – 1
შემდეგ სპეციალობებში: დაგეგმვა და შეფასება განათლებაში, სასწავლო მასალების ადაპტირება და შეფასება, სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარება დაწყებით სკოლაში, განათლების ისტორია

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
- ფოტოსურათი
- დიპლომის ასლი
- განცხადება
- პუბლიკაციების ქსეროასლი

საბუთები მიიღება
2011 წლის 18 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით, 9-დან 1 საათამდე

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 259 50 05 (128)
საკონტაქტო პირი: ვიცე-კანცლერი გოდერძი ბუჩაშვილი

დაწყებითი კლასების პედაგოგთა საყურადღებოდ!

საგანმანათლებლო ცენტრი „ლიბო მნტ“ გთავაზობთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებელი ტრენინგების კურსს მათემატიკაში. კურსი შექმნილია „ლიბო მნტ“ წიგნიერების სახელმწიფო პროგრამის ბაზაზე.

პროგრამას გაუძღვებიან მათემატიკის სერტიფიცირებული პედაგოგები და დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდური სახელმძღვანელოს თანაავტორები.

მსმენელი მიიღებს საკითხავ მასალებს, საგამოცდო ტესტური ნიმუშების მიხედვით შედგენილ სავარჯიშოების კრებულს.

საკონტაქტო ინფორმაცია:
თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი №128
საკონტაქტო ტელეფონი: 2 47 89 19, 8 77 22 00 53

მერაბ ბერძენიშვილის სტუდია „მუზა“

გთავაზობთ ახალ საზაფხულო საგანმანათლებლო პროექტს, რომელიც მოიცავს:

- ხელოვნების ისტორიის შესწავლას (შემეცნებითი ფილმების ჩვენება ხელოვნებაზე);
- ხატვას (გრაფიკა, ფერწერა);
- უცხოურ ენათა დაუფლებასა და მწერლობის გაცნობას; (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული);
- მოზარდებისათვის ქართული მწერლობის გაცნობასა და წაკითხულის გააზრებას;
- საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას (გასვლით ექსკურსიებს თბილისსა და მის გარშემო ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად);
- ტექნიკურ საგნებში მომზადებას სპეციალური პროგრამით.

სწავლების პროცესი წარიმართება
სტუდია „მუზას“ აუდიტორიებსა და ღია ცის ქვეშ, ბაღში.
მსურველებს შესაძლებლობა აქვთ ამოირჩიონ ერთი ან რამდენიმე დისციპლინა.
საკონტაქტო ტელეფონი: 871 23 53 53

საქართველოს ფოსტა
GEORGIAN POST

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „საქართველოს ფოსტა“ 1995 წლიდან ფუნქციონირებს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მისი მთავარი მიზანი – დაწესებულებების, ორგანიზაციების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სხვადასხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა საფოსტო მომსახურება და მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა, საზრუნავი კი – საფოსტო ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავება და თანამშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. სწორედ ამ მიზნით, მიმდინარე წლის ივნისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტომ“ საქართველოს ფოსტა დააჯილდოვა ნომინაციაში – „წლის სოციალური საწარმო“, ფოსტალიონის ინსტიტუტის შენარჩუნებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა მხარდაჭერისთვის.

საქართველოში ფოსტის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ძველ დროში ურთიერთკავშირის დასამყარებლად ადამიანები სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. იმხანად, ფოსტალიონის ფუნქციას „მალემსრბოლები“ და „შიკრიკები“ ასრულებდნენ. თუმცა, ადამიანის ფანტაზია უსაზღვროა და ზოგ ქვეყნებში გზავნილთა გასაცვლელად ფოსტალიონის როლს მტრედი ან ბოთლი ასრულებდა. თუმცა, გზავნილი მიაღწევდა თუ არა ადრესატამდე, არავინ უწყოდა. მართალია, დღეს ელექტრონული ფოსტის საუკუნეში ვცხოვრობთ, მაგრამ ინდონეზიაში „ბოთლის“ ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი.

მე-19 საუკუნის დამლევს ქართული ეკონომიკური აზროვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იოანე ბატონიშვილი მიიჩნევდა, რომ საფოსტო დაწესებულების შექმნა ფრიად სასარგებლო იქნებოდა როგორც ხალხისთვის, ისე ხაზინის შემოსავლისთვის. ილიასეული გაზეთი „ივერია“ წერდა: „ფოსტა აახლოებს ადამიანებს, აცხოველებს ვაჭრობას და ხალხში განათლება შეაქვს!“

საქართველოში პირველი ფოსტის გადაზიდვასთანაა დაკავშირებული ქართული ურმის სახელი. სანკტ-პეტერბურგის კავშირგაბმულობის ცენტრალურ მუზეუმში გამოფენილ ფოსტის გადაზიდვის უძველეს საშუალებებთან ერთად წარმოდგენილია ქართული ორთვლიანი ურემიც, რომლის ფოტოები ბერლინის საფოსტო მუზეუმის უნიკალურ ექსპონატთა შორისაა დაცული.

საქართველოში საფოსტო კავშირების განვითარებასთან განუხრელად იყო დაკავშირებული საფოსტო მიმოსვლის გაუმჯობესება კავკასიონზე გავლით – საქართველოდან რუსეთში.

საფოსტო კავშირი თანდათან ვითარდებოდა და ფოსტა ერთადერთი საშუალება გახდა წიგნების, გაზეთების, წერილებისა თუ სხვა გზავნილების გასავრცელებლად. რაც მეტი ფოსტის სადგური იარსებებდა, მით მეტი ადამიანი ისარგებლებდა მისი სიკეთით.

1913 წლისთვის, საქართველოში, 108 საფოსტო განყოფილება ფუნქციონირებდა. დღესდღეობით კი, 1000-ზე მეტი განყოფილება და 60 ფილიალი არსებობს. „საქართველოს ფოსტა“, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, უნივერსალური საფოსტო მომსახურებითა და ყველაზე დაბალი ტარიფებით გამოირჩევა.

1993 წლიდან საქართველო მსოფლიო საფოსტო კავშირის წევრია, რისი საშუალებითაც საქართველოს საფოსტო ქსელი მსოფლიო საფოსტო კავშირის ქსელებშია ინტეგრირებული

საქართველოს ფოსტაში მსურველს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა სახის ტრადიციული თუ დამატებითი მომსახურებით, კერძოდ;

გააგზავნოს და მიიღოს საფოსტო გზავნილები (წერილი, ბანდეროლი, ამანათი) როგორც მსოფლიო საფოსტო კავშირის, ასევე Exspres mail Service მსოფლიო ქსელში ჩართული საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტის ქსელის (EMS) მეშვეობით.

EMS საქართველოს საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტა

ექსპრესგზავნილების ჩაბარების ვადაა 2-დან 7 დღე. ჩვენ უზრუნველვყოფთ გზავნილის ხელიდან ხელში ჩაბარებას მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან თუ ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით.

მიმდინარე წლის აპრილში EMS ოქროს კატეგორიაში, Business Iniciative Direction-ის მიერ, ხარისხის ლიდერობაში საერთაშორისო ვარსკვლავის ჯილდოთი იქნა დაჯილდოებული.

შპს „საქართველოს ფოსტა“ ქართული საფოსტო მარკების რეალიზაციაზე სპეციალური ექსკლუზივით სარგებლობს. საფოსტო მარკა საფოსტო საგადასახადო ნიშანი, ქვეყნის სავიზიტო ბარათი და ისტორია, რომელზეც ქრონოლოგიურადაა ასახული ცალკეული მოვლენა, ფაქტი თუ ქვეყნის კულტურა.

ქართული მარკის დამკვიდრება ცალკეული თემატური ნიშნის მიხედვით ხდება. საქართველოში მარკების გამოცემას დიდი ხნის ისტორია აქვს. 1993 წლიდან დღემდე 550-მდე სხვადასხვა სახის საფოსტო მარკა და რამდენიმე სასუვენირო ფურცელია გამოშვებული, რომლებიც ფილატელისტთა დიდ ინტერესს იწვევს.

შპს „საქართველოს ფოსტა“ ყოველწლიურად აცხადებს სხვადასხვა თემატიკისა და დიზაინის საფოსტო მარკების ესკიზებზე ანაზღაურებად კონკურსს, რომელშიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მონაწილეობის მიღება. საუკეთესო ესკიზის ავტორი გარკვეული ფულადი პრემიით ჯილდოვდება.

საქართველოს ფოსტა

- **საკურიერო მომსახურება** – გზავნილის 24 საათში ჩაბარების სერვისი.
- **პირდაპირი ფოსტა** – სარეკლამო ფლაერებისა და ბროშურების გავრცელება ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში.
- **სატვირთო გადაზიდვები** – თბილისიდან საქალაქო და რაიონულ ცენტრამდე და პირიქით.
- **კომუნალური მომსახურების გადახდების მიღება** – მომსახურება 0% .
- **სწრაფი და მომენტალური გადახდები** – TBC PAY-ის ქსელის საშუალებით.
- **ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და ბინაზე მიტანა, დეპეშის, ფაქსის** გაგზავნა, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ზარების განხორციელება.
- **სულ** მალე საქართველოს ფოსტის მომხმარებელს საშუალება ექნება, ეწვიოს ჩვენს ვებგვერდს – **WWW.GEORGIANPOST.GE** და სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს, სად არის მისი გზავნილი.

„საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლის საიმედო პარტნიორია თავისი მრავალფეროვნებით, ფართო ქსელითა და დაბალი ტარიფებით

წამიერი შეგრძნებების, საგანთა ხედვის სიტყვიერი გადმოცემა

იაპონია მსოფლიო ყურადღების ცენტრში, რამდენიმე თვის წინ, შემზარავი ცუნამის გამო მოექცა და იაპონელი ხალხის მხარდაჭერა მსოფლიო საზოგადოებამ სხვადასხვა ღონისძიებით გამოხატა. ეს თანადგომა იაპონელი ხალხისთვის ერთგვარი ძალის მიმცემია, რათა კიდევ უფრო გაძლიერდნენ და დაძლიონ თავს დამტყდარი უბედურებით გამოწვეული უიმედობა. **„სოლიდარობა იაპონიას“** – ყველაფერი კარგად იქნება და ყველაფერი პოზიტიური წინ არის, ამ მოწოდებას თბილისის 147-ე საჯარო სკოლის X[3] კლასის მოსწავლეები იაპონური პოეზიის საღამოთი გამოეხმაურნენ.

პროექტი „იაპონური პოეზია“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **მაია ტაბიძის** ხელმძღვანელობით განხორციელდა. პროექტზე, ასევე, მუშაობდნენ **მარიამ კალანდარიშვილი** და **ნინო ჩახუნაშვილი**. იდეა მოსწავლეებს ეკუთვნით. როგორც მათ გვითხრეს, ჯერ კიდევ IX კლასში სწავლისას ძალიან მოსწონდათ იაპონური პოეზია და წელს მაია მასწავლებელს სთხოვეს, ამით დაინტერესებულიყო მათთან ერთად და პოეზიის საღამო მოეწყოთ. ერთობლივი მუშაობის შედეგმა არ დააყოვნა და შექმნეს პროექტის ელექტრონული ვერსია, რომლის წარდგინებაც საჯაროდ მოაწყვეს.

ერთ პროექტში მოქცეული, დიდი გემოვნებით შერჩეული, მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული და სპეციფიკური ხელოვნების (რომელიც აღმოსავლურ კულტურაზე და ხელოვნებაზეა დაფუძნებული) – იაპონური პოეზიის მოსმენა მართლაც სასიამოვნო აღმოჩნდა. პროექტორზე კი, მოსწავლეების ნაამბობს ფოტომასალითა და მუსიკით გაფორმებული ვიდეომასალა სდევდა.

იაპონური პოეზიის სხვადასხვა ჟანრობრივი მიმართულებებიდან, მოსწავლეებმა ჯერ ტრადიციული იაპონური ლირიკული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, სიმბოლური დატვირთვის მქონე ჟანრი – ჰაიკუს შედევრები წაიკითხეს. ტერმინი „ჰაიკუ“ XIX საუკუნის იაპონელ პოეტ მასაოკა შიკის უკავშირდება, თუმცა მის მამამთავრად მაცუო ბასიო, XVII საუკუნის იაპონელი პოეტი ითვლება. ეს უკიდურესად მოკლე სტრუქტურული ლექსია, რომლის მიზანი წამიერი შეგრძნებების, საგანთა ხედვის გადმოცემაა. ჰაიკუ უნდა შეიცავდეს ერთ კიგოს, ანუ წელიწადის ერთ-ერთ, დროის სახელს ან ისეთ სიტყვას, რომელიც წელიწადის რომელიმე დროს მიგვანიშნებს, მაგალითად: „ახალი წელი“, „ატმის ყვავილობა“ და ა.შ. თუმცა, კიგოს წარმოქმნის ასევე „სავსე მთვარის“ ხსენებაც. ეს ერთგვარი მომენტალური სურათია, რომელშიც არ უნდა ჩანდეს მთხრობელი. გამორიცხული არაა იუმორი. ჰაიკუმ მკითხველში ფანტაზიის უნარი უნდა აღძრას და წარმოსახვით ესა თუ ის სურათი დაანახოს. ჰაიკუსთვის რითმა არ არის დამახასიათებელი.

ჰაიკუს პოეზია იაპონურ კულტურაში ჩამოყალიბდა ხალხური სიმღერების, ხუმრობებისა და მხიარული შაირების საფუძველზე. პოეზიის ეს სახეობა სრულყოფილებას იძენდა სალონური თამაშების პროცესში. თამაშის წესით, საჭირო იყო გონებამიხვილობისა და საზრიანობის დემონსტრირება. ლექსის თქმა კი მთლიანად დაფუძნებული იყო იმპროვიზაციასა და სხარტ გარითმვაზე.

ხშირად ჰაიკუს პოეტური აზრი გამოუცნობი რჩებოდა. მაგალითად, ჰაიკუს ჟანრის სახელგანთქმულმა იაპონელმა პოეტმა მაცუო ბასიომ შეძლო მთელი სამყარო აესახა ამ ლექსში:

„შემოდგომის მწუხრისას
ყვავი მარტოდმარტო ზის
გამხმარ ტოტზე.“

ან თუნდაც:

„უშნო ყვავი
ისიც ლამაზია ზამთრის დილას
უმანკო თოვლზე“.

XVI-XVII საუკუნის ხოკუს – ბასიეს, ისსას, კიკაკუს, მაცუო ბასიოს, ტიენის, ტაიგის, ბუსონის, ტეიძიო ნაკამურასა და კოიჩირო ნაგატას მშვენიერი პოეზიის, ასევე მშვენიერი, ქართული თარგმანების შემდეგ, მოსწავლეები შეეცადნენ, ტანკით დაეტკბოთ მსმენელი („ტანკა“ იაპონურად სიმღერას ნიშნავს). ორი ათასწლეულის წინ ჩამოყალიბებული ტანკა 5 სტრიქონისა და 31 მარცვლისგან შედგება და არსებითად განსხვავდება ევროპული სალექსო ფორმებისგან. ლაკონური, კონცეპტუალურად და ემოციურად დატვირთული უძველესი ტანკების ავტორებად გვევლინებიან იმპერატორები, პრინცესები, ფეოდალები, მაღალი წრის ქალბატონები და განსწავლული ბერები. მათი სალიტერატურო ენა მეტაფორების ჰარმონიულ ნაზავს წარმოადგენს. აი, რას წერს ტეიძიო ნაკამურა: *„სამშობლოში რამესთან ერთად ხურმაც ტკბილია“*. უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ტანკა კი ნებისმიერ ადამიანს გამოადგებოდა „მასწავლებლად“:

„გააკეთე ისე,
როგორც შენამდე უკეთებიათ
და გააკეთე უკეთ.
შემდეგ დალეწე ყველაფერი
და ისე გააკეთე,
როგორც მანამდე არავის გაუკეთებია.
ხვალ კი სხვა მოვა.“

აცუტადას, სუვოს, სადაიეს, კანკეს, სადაკატა ფუჯივარას, ბერი კისენის, იმპერატორ გოტობას და სხვათა ტანკების ქართული ვერსიები სიყვარულზე, სევდაზე, მარტოობასა და ადამიანურ ურთიერთობებზე მოგვითხრობს, თუმცა, საბოლოოდ, მაინც უფრო ღრმა და ფარულ აზრებს გვაძებნინებს.

„ღრმა სინანულით
ვუხმობ მეგობრებს,
მძულან
თვალთმაქცი
მტრები...
მორჩა
სიცოცხლე! გზას
უკანასკნელს
ვიკვლევთ ცეცებით
ხელის...
სამარადჟამოდ ვეძებ
სიმშვიდეს...“

(იმპერატორი გოტობა)

ამ ყველაფრის მოტანა მოსწავლეებმა მართლაც დიდი ემოციითა და, რაც მთავარია, სწორად შეძლეს. პოეზიის საღამო დასრულდა, მაგრამ მაყურებელი ისევ რაღაცის მოლოდინში იყო, ეს რაღაც სწორედ იაპონური პოეზიით თავსმოხვეული დიდი შთაბეჭდილება იყო. მონაწილეებმა, სამახსოვროდ, ფურცლებზე დაბეჭდილი პოეზიის ნიმუშები დაგვრიგეს, იქვე გაჩნდა იდეა, რომ აიკინძოს და ამ სახით შეინახოს სკოლამ. კრებული ნებისმიერ მასწავლებელს გაუწევს დახმარებას, მოსწავლეები აზიაროს იაპონური პოეზიის ამ უმშვენიერეს ნიმუშებს და მოუთხროს იაპონელ პოეტებზე, რომ: *„როგორც ჩინელი ხელოსნები ნემსის წვერით ბრინჯის ერთ მარცვალში მთელ მოთხრობას ამოკაწრავდნენ ხოლმე, ასევე, იაპონელი პოეტებიც თავიანთ ტრადიციულ სალექსო ფორმებში – ხუთსტრიქონიან ტანკასა და სამსტრიქონიან ხოკუში მთელ თავიანთ სიცოცხლეს ტევდნენ“.*

შთაბეჭდილებები:

ნატო შარაშიძე, პედაგოგი: *დიდი სურვილი მაქვს, რომ ასეთი არაჩვეულებრივი პროექტების ფონდი შეიქმნას სკოლაში, რომელსაც შემდეგ მასწავლებლები გამოვიყენებთ გაკვეთილებზე. ბუნებრივია, მასწავლებლის დამსახურებაა, როცა მისი მოსწავლეები ასე ორიგინალურად აზროვნებენ და ასეთივე ორიგინალურ თემებს ირჩევენ. მაია მათ მხოლოდ ლიტერატურას კი არა, ხელოვნების სხვა დარგებსაც ასწავლის.*

აზა მირგატია, პედაგოგი: *დღევანდელი საღამო იაპონური პოეზიის, მხატვრობისა და მუსიკის გემოვნებიანი სინთეზი იყო. ეს მოსწავლეებმა ძალიან ნიჭიერად მოიტანეს ჩვენამდე.*

ლალი დუნდუა, 147-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *არაჩვეულებრივი საღამო იყო. დღეს მოსწავლეებმა მართლაც სიღრმისეული პოეზია წაგვიკითხეს, თუ შეიძლება ითქვას, ამაღლებული, გრძნობებით სავსე განწყობა შექმნეს. რაც მთავარია, ასეთი პროექტები მათთვისვეა სასარგებლო. თუნდაც ის, რომ იაპონური პოეზიით დაინტერესდნენ, ამდენი რამ წაიკითხეს და ისწავლეს, უკვე წარმატებაა, რისთვისაც დიდ მადლობას იმსახურებენ, თავიანთ პედაგოგთან ერთად.*

პროექტის მონაწილეები:

თამუნა ქსოვრელი: *ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ამ პროექტზე მუშაობა, ძალიან დიდი აზრი დევს თითოეულ ლექსში.*

მარიამ კალანდარიშვილი: *დაბალ კლასებში იაპონურ პოეზიას აზა მასწავლებელმა გვაზიარა, რამაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წელს კი, მაია მასწავლებელს ვთხოვეთ, რომ უფრო სიღრმისეულად შეგვესწავლა და მოგვემზადებინა ასეთი სახის პროექტი. მართლაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მუშაობის პროცესიც და ვფიქრობ, პროექტიც. რაც მთავარია, ჩვენ ბევრი რამ შეგვძინა, უამრავი მასალა მოვიძიეთ, თან წიგნებით და არა ინტერნეტით.*

ნინო ჩახუნაშვილი: *ძალიან ბევრი ვიშრომეთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ღირდა. იაპონურმა პოეზიამ იაპონელი ხალხის სულიერი სამყარო დაგვანახა, ღრმა და მრავლისმომცველი. ბევრი რამ შევიტყვეთ მათზე და, რაც მთავარია, ჩვენი ცოდნა, თვალსაწიერი კიდევ უფრო გავამდიდრეთ.*

შორენა აბრამიშვილი: *დიდი სიამოვნება მოგვანიჭა პროექტზე მუშაობამ, უამრავი მასალა მოვიძიეთ, წავიკითხეთ, დავამუშავეთ. ბევრი რამ გავიგეთ იაპონური პოეზიის შესახებ, რომელიც ასე გნუსხავს და გაფიქრებს.*

* * *

დაბოლოს, ისევ იაპონურ პოეზიას მივუბრუნდები, ზემოთ ვახსენე მაცუო ბასიოს მინიატურა, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ასეთი განწყობა შექმნა: ყვავი, გამხმარი ტოტი, მოახლოებული მწუხრი, გვიანი შემოდგომა. ერთი ფერით შესრულებული პეიზაჟი, სიჩუმისა და მწუხრის განცდა. მის მეორე მინიატურაში კი მარადიულისა და წუთიერის შერწყმაა:

„ძველი გუბურა
ბაყაყი ჩახტა წყალში:
ტყაპ! გაისმა სიჩუმეში.“

ძველი გუბურა მარადიულია და მის მარადიულობაში რომ შეაღწიო ცნობიერებით, საჭიროა ერთგვარი წუთიერი ძვრა – ხტომა. ამ მინიატურას სერიოზულად დაფიქრება სჭირდება. ხტომაა საჭირო, სწორი ხტომა, რათა მარადიულობას შეერწყა.

* * *

იაპონური პოეზიის საღამომ, ამ ცოტა ხნის წინ, თბილისში გამართული არტაქცია „საკურას ყვავილობა“ გამახსენა, რომელშიც იაპონელი ხალხის მხარდასაჭერად მონაწილეობდნენ ქართველი ფოტოგრაფები, მხატვრები და მუსიკალური ბენდი. სწორედ ამ გამოფენაზე შესრულდა კომპოზიცია „საკურა“, რომლის სიტყვებითაც დავასრულებ წერილს: „ბოლოს ჩვენ დავუბრუნებთ ზღვას თავის ფერს, ცას თავის ფერს და მზე ისევ გაგვათბობს“.

ლალი ჯელაძე

დამხმარე სასწავლო მასალა

სწავლება თავშექცევით

რამდენიმე წელია წიგნის მაღაზიის თაროებზე მყარად დაიმკვიდრეს ადგილი **ვიოლეტა კვირიკაშვილის** სახალისო შეკითხვების კრებულებმა: **„სკუპ-სკუპით სკოლისაკენ“, „პატარა ინტელექტუალი 1, 2, 3“, „ინტელექტუალი I, II“**. წიგნებით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, იმოგზაურონ ცოდნის სამყაროში, გაიფართოონ თვალსაწიერი და დაუსრულებლად ეძიონ პასუხი ახალსა და შეუცნობელზე. კრებულები დიდ ინტერესს აღძრავენ მეცნიერების თითქმის ყველა დარგში (მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, რელიგია...) თითოეული სფერო 100 კითხვისგან შედგება და განსაკუთრებული სიმბოლოთია აღნიშნული. პასუხები შესაბამისი სიმბოლიკით შეკითხვების უკანა მხარესაა მოცემული.

როდესაც ბავშვი 10 გვერდს გაივლის, ანუ 100 შეკითხვას გასცემს პასუხს, უკანა გვერდზე თვითონვე ამოწმებს საკუთარი პასუხის სისწორეს და იწყებს მიღებული ქულების დათვლას. შემდგენელი ითვალისწინებს მოზარდების განსხვავებული ცოდნის დონეს და გონებრივ შესაძლებლობებს. გულნაკლულს არავის ტოვებს: 100 შეკითხვის შემდეგ ყოველ მათგანს ელოდება მიღებული ქულების შესაბამისი წამახალისებელი ჯილდო.

გაცემულ პასუხებში ვლინდება და ყალიბდება ბავშვის ალღო, ცოდნის დონე, მიხვედრის და დამოუკიდებელი, ლოგიკური აზროვნების უნარი, მისი კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. ის ხომ თვითონ აფასებს საკუთარი პასუხების სისწორეს და თვითონვე წყვეტს, თუ რა ჯილდო დაიმსახურა. ეს ხერხი მეტად საინტერესოს ხდის ბავშვის შემოქმედებით საქმიანობას, უნერგავს გამარჯვების სიხარულს, ასწავლის მიზნისკენ სწრაფვას, აჩვევს გამძლეობას, ასწავლის ძიების გზებს.

„სახალისო შეკითხვები“ ძუნწი დახასიათებაა წიგნის შინაარსისა და ღირებულებისა. ეს არის დიდი ცოდნისა და ზღვა ინფორმაციის მიმცემი, მრავალი კარგი თვისების ჩამნერგავი თამაში.

შეკითხვები ოსტატობით, ნათლად და მარტივად არის დასმული. აქ არ არის ერთფეროვნება: ყველა შეკითხვა არ საჭიროებს პირდაპირ პასუხს, მათი ნაწილი მოზარდისგან დაკვირვების უნარს, ლოგიკურ აზროვნებას და მიხვედრილობას მოითხოვს. ბევრია იუმორი.

განუზომელი შრომაა გაწეული. რა შინაარსის შეკითხვა გინდათ, რომ არ იყოს აქ! კრებულს თამამად შეიძლება ეწოდოს ახლებური მეთოდიკით შედგენილი საბავშვო ენციკლოპედია გეოგრაფიაში, ისტორიაში, ბიოლოგიასა თუ ხელოვნებაში.

ეს არის მიგნება, თუ როგორ მოვახდინოთ ბავშვის ყურადღების მობილიზება ამა თუ იმ მიმართულებით. ეს არის დამოუკიდებელად და საღად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საუკეთესო გზა.

კომპლექტი შედგება 6 წიგნისგან. თითოეული მათგანი დამუშავებულია შესაბამისი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, კლასების შესაბამისად.

წიგნები გამოიცემა 2005 წლიდან, როგორც დამხმარე სასწავლო მასალა და თანაბარი წარმატებით გამოიყენება საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და ოჯახებში ინდივიდუალური ან ჯგუფური მეცადინეობისათვის. პედაგოგები მათ თანაბარი წარმატებით იყენებენ სოციალურად დაუცველ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან და მცირეწლოვან დამნაშავეებთან მუშაობისას სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც. წიგნები პოპულარობით სარგებლობენ აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ პატარა ქართველებში (საინგილო, ფერეიდანი, საბერძნეთი, ნიუ იორკისა და ვაშინგტონის საკვირაო სკოლები...), კრებულები მოწონებულია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მიერ. ავტორს წიგნებისათვის მინიჭებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.

თითოეული მათგანის ღირებულებაა 5 ლარი. შეძენა შეიძლება როგორც კომპლექტის, ისე ცალკეული წიგნის სახით.

გთავაზობთ შეკითხვების ნიმუშებს:

„პატარა ინტელექტუალი 2“-დან 9-10 წლის ბავშვებისთვის

1. ეტლმა, რომელშიც შეგმული იყო 4 ცხენი, გაიარა 24 კმ. რამდენი კილომეტრი გაიარა თითოეულმა ცხენმა?

2. რას გულისხმობს პოეტი ნათქვამში: „ტყემალი გამოსულა პერანგის ამარა“?

3. რა არის ქრისტიანისთვის უპირველესი და აუცილებელი?
იცოდეს გალობა, იყოს მონათლული, იცოდეს უცხო ენები.

4. საით უნდა გაჰყვე გზილიკს, თუ გზა აგებნა?

5. ვინ იგონებს ცეკვის მოძრაობებს და დგამს ცეკვებს?
ქორეოგრაფი, ქორმაისტერი, სცენარისტი, რეჟისორი.

6. რას „ამტკიცებს“ ცხვირი?
თანამოსაუბრის ნათქვამს, კანონს, თეორემას.

7. რამდენი შეუსაბამობაა?
რაჭულმა მამალმა იმერეთისა და ხევსურეთის საზღვარზე კვერცხი დადო. ვის ეკუთვნის კვერცხი – ხევსურეთს თუ იმერეთს?

8. წინაპართა რომელი სანუკვარი სურვილია გამოხატული ქართულ მისალმება-დამშვიდობებაში?

9. სად დაასახლა უფალმა პირველი ადამიანები?
ქოხში, სამოთხეში, გამოქვაბულში.

10. რისი გადახდა არ შეიძლება?
ბოდიშის, ვალის, მადლობის.

11. შეიძლება თუ არა ოთხკუთხედს ვუწოდოთ კვადრატი, თუ მისი ოთხივე გვერდი ტოლია?

12. რა სიტყვას მალავს შიგპასუხა?
„მახურავს და მაცვია ტანზე მისი ნაცვამი,
მისგან მოწვდილ ტკბილ სასმელს შევატანე ნამცხვარი“.

13. ავტომანქანა „ჯიპის“ რომელი თვალი არ ბრუნავს გზატკეცილზე მოძრაობის დროს?

14. რის ნაკლებობას არ უჩივის არასდროს ადამიანი?
ქონების, ფულის, ძალ-ღონის, ჭკუის.

15. სად შოულობს ობობა ქსელისათვის საჭირო ძაფებს?
ბუნებაში, თვითონ აქვს მუცელში, ელიავას ბაზრობაზე.

„პატარა ინტელექტუალი 3“-დან 10-11 წლის ბავშვებისთვის

1. რომელი მცენარის მოსავლის აღებას უკავშირდება ივლისის ძველ-ქართული სახელი „მკათათვე“?
სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის.

2. რომელია ზედმეტი?
ზერელედ, მიფუჩეჩებულად, უგულოდ, უამხანაგოდ.

3. შეარჩიე წყვილი, სადაც არის „ნაწილი-მთელი“:
იმერეთი-საქართველო, ქართლი-კახეთი, დღე-სინათლე, ცეცხლი-ნავთი.

4. რა ჰქვია კახეთის ყველაზე მაღალ მთას?
ცივი, გრილი, თბილი, ნელთბილი.

5. მოცემული ლათინური სიტყვებით ააწყვე წინადადება: „წინწაუსვლელობა არის უკუსვლა“.
რეგრედი ესტ ნონ პროგრედი.

5. რამდენი გამოცანაა: „მამა – დაგრეხილი, დედა – დაჭყლეტილი, შვილი – გადარეული“?

7. რამდენი პასუხი შეიძლება ჰქონდეს ამოცანას?
ლადოსა და მარის შორის სხვაობა 9 წელია. რამდენი წლისაა მარი, თუ ლადო 16 წლისაა?

8. ვისი სიტყვებია: „ეძებეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგიღებენ!“

9. მუსიკოსის მამის შვილი მხატვარია. რა არიან ერთმანეთისთვის მხატვარი და მუსიკოსი?

10. რომელი წარწერა ამშვენებს საქართველოს გერბს?
„ძალა ერთობაშია“, „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

11. რას გულისხმობს პოეტი ნათქვამში: „მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“?
ცოდნას, ქონებას, მამულს.

12. რას იტყვის მეფრინველე?
21 ფრთა მყავს, 21 სული მყავს, 21 კომლი მყავს.

„ინტელექტუალი I“-დან 12-13 წლის მოზარდებისთვის

1. რომელია განსაზღვრების სინონიმი?
ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, მეტაფორა.

2. რა ჰქვია კომბოსტოს ან თალგამის ნაყოფს?
ბუკიოტი, ბუ, ჭოტი, ძერა.

3. რა ჰქვია დიდ ისტორიულ მონაკვეთს?
ეპოქა, ერა, სტადია, პერიოდი, ხანა.

4. რომელი მათგანი შეისწავლის ზეპირმეტყველების კანონებს?
ფონეტიკა, ორთოგრაფია, ორთოპედია, პუნქტუაცია.

5. რა ჰქვია ფრინველის ნაზ, მოხდენილ სიარულს?
როკვა, გოგვა, ირაო, ბაჯბაღი, რონინი.

6. რას ნახავს რომში ჩასული ტურისტი?
აია სოფიას ტაძარს, ელისეს მინდვრებს, კაპიტოლიუმს.

7. სად მოახდინა მაცხოვარმა პირველი სასწაული?
ტაძარში, ქორწილში, ზღვაში.

8. რომელი სიმებიანი ინსტრუმენტია გამოსახული ძველ ეგვიპტურ ნახატებში?
ვიოლინო, არფა, როიალი, კონტრაბასი.

9. რამდენი ადამიანია ჩამონათვალში: ვასკო და გამა, ლეონარდო და ვინჩი, ტრისტან და იზოლდა?

10. სპორტის რომელ სახეობაშია განსხვავებული სიმაღლის გადეები ქალებისა და კაცებისათვის?
ფრენბურთში, ჩოგბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში.

11. სუნთქავენ თუ არა ფრინველები ფრენის დროს?

12. რომელ ლითონს იყენებენ ქირურგიაში სისხლძარღვების გასაკერად?
ოქროს, ტანტალს, პლატინას, სპინლენძს, ფოლადს.

13. რა ჰქვია მხატვრის ფუნჯს?
ყალამი, ჩალამი, კალამი, წალამი.

14. შეიძლება თუ არა კომპასის მეშვეობით მიწისძვეშა რკინის მადნის აღმოჩენა?

15. რომელი უცხოური ფირმა აწარმოებს მობილურ ტელეფონებს?
კოლტი, ადიდასი, მოტოროლა, იამაჰა.

„ინტელექტუალი II“-დან 14-15 წლის მოზარდებისთვის

1. ქართველთა რომელ ბრძოლაში იხილეს გაცხადებულად წმ. გიორგი?
ბაზალეთის, დიდგორის, კრწანისის, შამქორის.

2. ვისი სადიდებელია „შენ ხარ ვენახი“?
ვაზის, მარიამ ღვთისმშობლის, საქართველოსი.

3. როგორ ჟღერს ლათინურად ოლიმპიური თამაშების დევიზი „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს“?
1. იგნი ეტ ფერსო, 2. იგნოტუმ პერ იგნოტუს, 3. ციტიუს ალტიუს ფორტიუს.

4. ლეგენდის თანახმად, რომელი ბარბაროსი მეფე დაკრძალეს მდინარე ტისას ფსკერზე?
არტური, ატილა, ფილიპე, ფერდინანდი.

5. როგორი სამკუთხედის სიმაღლეები არ იკვეთება სამკუთხედის შიგნით?
მართხკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა, ბლაგვკუთხა.

6. რომელი ზღვა არ არის გამოყოფილი ოკეანისგან და არ გააჩნია მუდმივი საზღვრები?
ოხოტის, ბარენცის, სარგასის, ადრიატიკის.

7. რა ეწოდება ჯერ კიდევ შეუმშრალ გათქაშზე წასმული საღებავით შესრულებულ ნახატს?
მოზაიკა, ვიტრაჟი, ფრესკა.

8. სპორტის რომელი სახეობის სახელებია: ოკრიბული, აფხაზური, კოლხური?
კრივის, ჭადრაკის, ჭიდაობის, ცურვის.

9. რომელმა ცხოველმა გადაარჩინა მუსულმანთა შემოსევის დროს ნეკრესის ეკლესია და იქ შეფარებული მოსახლეობა?
ძაღლმა, ხარმა, ცხვარმა, ღორმა, მგელმა.

10. რომელი უძველესი ანბანი შედგებოდა მხოლოდ თანხმოვნებისაგან?
ფინიკიური, ბერძნული, ეგვიპტური.

11. რომელი ვულკანის ამოფრქვევას ემსხვერპლა ქალაქი პომპეი?
ეტნას, ვეზუვის, სტრომბოლის.

12. რა ენაზე ლაპარაკობდა მაცხოვარი?
არამეულზე, ივრითზე, არაბულზე, ფინიკიურზე.

წიგნების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით 20 ივნისამდე.
ვიოლეტა კვირიკაშვილი – ტელ.: 890 516175, 893 134881, ელფოსტა: violeta.kvirikashvili@yahoo.com
„ახალი განათლების“ რედაქცია – 890 958023; 958023.
შეკვეთის შემთხვევაში, წიგნს მიიღებთ ახალი სასწავლო წლის დასაწყისში – სექტემბერში

ღონისძიებებით შეჯამებული კიდევ ერთი სასაწავლო წელი

სასწავლო წლის დასასრული შეჯამებელი გაკვეთილებით, კონფერენციებითა და ზეიმებით აღინიშნება. ამ ტრადიციას არც 47-ე საჯარო სკოლაში ღალატობენ (დირქტორი – **ირმა ხუციშვილი**). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს დღე დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვისაა – ისინი ერთგვარ ანგარიშს აბარებენ თავიანთ მასწავლებლებსა და მშობლებს, ამიტომაც ღელავენ, ცდილობენ ყველას მოაწონონ თავი.

ამჯერად III-IV-V კლასელებმა ინგლისური ენის ცოდნით გამოიჩინეს თავი. III კლასის ინგლისური ენის პედაგოგმა **ქეთი არჩვაძემ** საჩვენებელ სპექტაკლად „წითელქუდა“ აირჩია. **ანა იმნაძემ** (წითელქუდა), **სანდრო მჭედლიშვილმა** (მგელი) და **სოფო სტეფანაშვილმა** (ბებია) მშვენივრად გაართვეს თავი როლებს; IV-კლასელებმა (პედაგოგი – **თინა ბერიძე**) „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ დადგეს. „ფიფქიას“ როლი **ნინო მარგიშვილმა** შეასრულა, დედინაცვლის – **თათია მაისურაძემ**; **მარიამ მარგიშვილი** და **თიკო სირაძე** სპექტაკლის წამყვანები იყვნენ, **ლიკა სამუშია**, **ნინო ძანძავა**, **ეკატერინე მჭედლიძე**, **მარი აზარიაშვილი**... – ჯუჯები; კლასის პედაგოგებმა – **ქეთი არჩვაძემ** და **თინა ქარცივაძემ** „კონკია“ წარმოადგინეს. **ნინო ქუთათელაძემ** (ფერია), **საბა ბარქიამ** (ავტორი) და **ხატია გაფრინდაშვილმა** (კონკია) დამსწრეთა ოვაციები დაიმსახურეს. კათედრის გამგემ, **ლუიზა დონდუამ**, თითოეული ბავშვისა და მათი პედაგოგების მიერ გაწეული შრომისა და მიღწეული შედეგის გამო შეაქო სპექტაკლების მონაწილეები. განსაკუთრებით ემოციური იყო კანადელი მასწავლებლის **ჯეინ ლუს** შეფასება: *„აღფრთოვანებული ვარ ინგლისური გრამატიკის ცოდნით, სწორი გამოთქმებით, პატარების მსახიობური მონაცემებით. მათ მშვენივრად გაართვეს თავი სიმღერებითა და ცეკვებით დატვირთულ სცენებს“.*

* * *

ამავე სკოლის უფროსკლასელებმა მეზობელი 43-ე სკოლის სცენაზე სხვა ამპლუაში წარმოაჩინეს თავი – V-XII-კლასელებით დაკომპლექტებულმა ვოკალურმა ანსამბლმა თავისი შემოქმედების პრეზენტაცია მოაწყო. ანსამბლის შექმნის იდეა 47-ე სკოლის მუსიკის პედაგოგს, **ნანა აბზიანიძეს**, ჯერ კიდევ გასულ სასწავლო წელს დაებადა. ჩანაფიქრი სისრულეში 8 თვის წინ მოიყვანა და ამ მცირე ხანში საკმაოდ სერიოზული რეპერტუარიც შეიქმნა. იმ დღეს ანსამბლმა სულ ექვსი სიმღერა შეასრულა; მსმენელი აღფრთოვანებას ვერ მალავდა მოკლე დროში მიღწეული შედეგის გამო. *„ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის*, – გვითხრა ქალბატონმა ნანამ, – *ანსამბლს ჩემთან ერთად „ქართული ხმების“ სოლისტი, ანსამბლ „უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელი **ვასიკო დოლიძე** უღიერებს, მე დირიჟორი ვარ. ძალიან ნიჭიერი მოსწავლეები არიან, უყვართ ქართული სიმღერა, რეპერტუარიც ისე გვინდა შევადგინოთ, რომ ფოლკლორის გარდა ქალაქური და სხვა ჟანრის სიმღერებიც შეასრულონ, ერთი ჩეხი ავტორის სიმღერასაც ვასრულებთ.*

რატომ მოვედით ამ მინი-კონცერტით 43-ე სკოლაში? საქმე ისაა, რომ ჩვენი სკოლების პედაგოგებს მეგობრობის კარგი ტრადიცია გვქონდა. ბოლო ხანს ეს ურთიერთობები შესუსტდა. სურვილი მაქვს, იგი ახალმა თაობამ აღადგინოს და გააგრძელოს ერთობლივი ღონისძიებებით ან ერთმანეთს ვესტუმროთ ხოლმე მსგავსი საღამოებით. გარდა იმისა, რომ ეს ბევრ სასიკეთოს შესძენს ჩვენს ახალგაზრდებს, მათ გაცნობასა და დამეგობრებას შეუწყობს ხელს. ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია“.

***

43-ე სკოლის IV[1] კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი – **თიკო ალავიძე**) ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს. ეს იყო ინსცენირებები ნოდარ დუმბაძისა და ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებებიდან – „მე ვხედავ მზეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ჰელადოსი“ და „კაცია მუნჯაძე“. მონაწილეობდნენ: **ლუკა ბლუაშვილი** (იანგული), **მიშიკო ნიჟარაძე**, **დათო ასრატიანი**, **მარიამ ქართველიშვილი**, **ანა იაშვილი**, **რატი კეთილაძე**, **გია ბუთაშვილი**. აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი ძალიან კარგად ასრულებდა საკუთარ როლს, თუმცა ლუკა ბლუაშვილისა და მარიამ ქართველიშვილის მიერ განსახიერებული იანგული და ბებია განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, არაჩვეულებრივი არტისტიზმი და შესრულების გამორჩეულად გულწრფელი მანერით დამსახურებულად მიიღეს მათ პედაგოგების, მშობლებისა და თანატოლების ოვაციები.

ანა ფირცხალაიშვილი

პურის ანგელოზი

144-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) ჩატარდა ღონისძიება, სახელწოდებით – „პურის ანგელოზი“, ინიციატორი და რეჟისორი – დაწყებითი კლასის პედაგოგი **მაია ცომაია,** მონაწილეობდნენ IVა კლასის მოსწავლეები.

მასწავლებლის დახმარებით, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, ბავშვებმა შეაგროვეს და შეისწავლეს პურის სხვადასხვა ჯიშის ისტორია. დადგეს და სცენაზე წარმოადგინეს ნაწყვეტები პურზე შექმნილი ნაწარმოებებიდან – ნუგზარ შატაიძის „პურის მოთხრობა“ და შიო მღვიმელის „პურის ანგელოზი“. მოსწავლეებმა არა მარტო თემის ირგვლივ არსებული ინფორმაციის ცოდნა გამოამჟღავნეს, არამედ თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური შესაძლებლობები. ღონისძიების რეჟისორ **მაია ცომაიას** დაეხმარნენ ცეკვის პედაგოგი **გივი ხურციძე**, ხატვის პედაგოგი **ფიქრია შათირიშვილი**, მუსიკის პედაგოგი **მარინა კელეპტრიშვილი**. ხატვის პედაგოგის მიერ შესრულებული ნახატის მეშვეობით პურის ანგელოზის ზღაპარი თითქმის სრული შინაარსით იყო გამოსახული პანორამაზე, რომელიც სცენის ცენტრალურ კედელს მოიცავდა და ინტერიერს სრულყოფილებას სძენდა.

შთამბეჭდავი იყო მოსწავლეთა დამოკიდებულება ფოლკლორისადმი და ქართული მუსიკის სამხმოვანი გაჟღერება, რის დამუშავებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პედაგოგ მარინა კელეპტრიშვილს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები და მოწვეული სტუმრები, მათ შორის იყვნენ: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აგროტექნოლოგიური დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ხათუნა დობორჯგინიძე**, აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, აგროტექნოლოგიური დეპარტამენტის უფროსი **ცოტნე სამადაშვილი**.

ბატონმა ცოტნემ სიტყვით მიმართა მონაწილეებს და უსურვა, ის ცოდნა, რომელიც ღონისძიების მომზადების დროს მიიღეს, პრაქტიკაში გამოიყენონ, რათა ქართული ტრადიციული პურის მოყვანის კულტურა შევინარჩუნოთ და ავაღორძინოთ. ქალბატონმა ხათუნა დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ მოსწავლეთა მიერ გამომჟღავნებული ცოდნა, მათი ასაკის მიუხედავად, მეტ განვითარებას საჭიროებს და სკოლის ადმინისტრაციას შესთავაზა მემორანდუმის გაფორმება და სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა. ამ კუთხით ცოდნის გაღრმავებაში სკოლას დახმარებას გაუწევს აგრარული უნივერსიტეტის აღნიშნული დეპარტამენტი. სტუმრებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს მათ მიერ შექმნილი და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაბეჭდილი წიგნი ქართული ღვინისა და პურის შესახებ. მონაწილეებს სკოლის დირექტორმა მანანა კიკაჩეიშვილმა მიმართა, ღონისძიების თემის აქტუალობაზე გაამახვილა ყურადღება, პედაგოგსა და ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის და პრობლემის გადაჭრის სწორად გააზრებისათვის. ღონისძიების ბოლოს ემოციური იყო კლასის დამრიგებლის და რეჟისორის მაია ცომაიას გამოსვლა – დაემშვიდობა კლასს, რომელთანაც გაატარა ოთხი წელი და დაულოცა გზა განათლების მიღების შემდგომი ეტაპისკენ.

თეა ძორძაშვილი
ისტორიის პედაგოგი

ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლა (დირექტორი – **ხათუნა ანდღულაძე**) სამ ათეულ წელს ითვლის. სკოლაში საფორტეპიანო, საორკესტრო და საგუნდო განყოფილებებია. საზოგადოებისთვის ხელოვნების სკოლა ცნობილია იმითაც, რომ აქ არაერთი პროფესიონალი მუსიკოსი აღიზარდა. სამუსიკო სასწავლებელი დღესაც ჩვეული ტრადიციით აგრძელებს მუშაობას. 14 ივნისს სამუსიკო სკოლის საბავშვო მუსიკალურმა თეატრმა „ზღაპარ ქალაქი“ მაყურებელს პრემიერა შესთავაზა – სპექტაკლი „ბავშვობის ქვეყანა“ (რეჟისორი – **ზაზა კავთუაშვილი)** და **მანანა მერაბიშვილის** სიმღერებით ბავშვობის ქვეყანაში ამოგზაურა.

მოედანზე ლაღად მოთამაშე ბავშვებსა და იქვე სკამზე ჩამომსხდარ მოხუცებს შორის მცირე უკმაყოფილებაა, მათ მოედანი ვერ გაუყვიათ. მოხუცები ბავშვებს მოედანს არ უთმობენ სათამაშოდ და სხვაგან, ჭაობიანი ადგილისკენ დევნიან. ცელქი პატარები არ ნებდებიან, რის გამოც სცენაზე დიდი ჭიდილია. ბავშვები გადანყვეტენ, რომ სიმღერებით მოაწონონ თავი მოხუცებს, იქნებ გული მოულბეთ და ამით მოედანი დაისაკუთრონ. მომღერალი ბავშვები კარგა ხანს ცდილობდნენ მოხუცების გულის მოგებას და მათთვის საოცარ მუსიკალურ ნომრებს ასრულებდნენ. ამ ოინმა, დიდი მცდელობის შემდეგ, გაჭრა და მოხუცები ბავშვობის ქვეყანაში დაუბრუნეს, შემდეგ კი ერთად ბევრი იმღერეს, იცეკვეს და იმხიარულეს.

სცენარი სკოლის მუსიკალური ხელმძღვანელის, ქალბატონ **რუსუდან გვეტაძის** მასალებსა და კომპოზიტორ მანანა მერაბიშვილის სიმღერებზე რეჟისორმა ზაზა კავთუაშვილმა ააგო. მართლაც სახალისო და საინტერესოდ საყურებელმა სპექტაკლმა მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

„ეს ბავშვები გამორჩეული არიან მუსიკალური ნიჭით, – გვითხრა ქალბატონმა **რუსუდან გვეტაძემ,** – *თუმცა, მათ მსახიობურ ნიჭსა და ქორეოგრაფიასაც უდავოდ სჭირდება შექება. ძალიან სასიამოვნოა, როცა ერთად თავმოყრილ 22 აღსაზრდელს ვხედავ სცენაზე. მათ შორის ყველაზე პატარები 5 წლის მარი თარაშვილი და თამარ შავლიაშვილი იყვნენ. რაც მთავარია, მიხარია, რომ ჩვენი შრომის შედეგიც ასეთი მშვენიერი სპექტაკლით დაგვირგვინდა.“*

თამილა თაბაგარი, 28-ე ხელოვნების სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე: *„ეს ყველაფერი ჩვენი სკოლის ბაზაზე გაკეთდა. ჩვენმა აღსაზრდელებმა ქალბატონ რუსუდან გვეტაძესთან ერთად სკოლის გაკვეთილები გააფართოვეს და თეატრის სახე მისცეს. სპექტაკლში ყველანაირი მონაცემის ბავშვი გაერთიანდა. სულ 7 თვეა, რაც ვფუნქციონირებთ, ბავშვებმა თანდათან მიაღწიეს უკეთეს დონეს, ამას დღევანდელი შედეგიც მოწმობს. ვიდრე დიდ სცენაზე გამოვიდოდნენ, ბევრი იმუშავეს. ჩვენთვის ქალბატონი მანანა მერაბიშვილი საყვარელი კომპოზიტორია, მისი შემოქმედების უდიდესი ნაწილი ბავშვებისთვის დაწერილ სიმღერებს ეთმობა. სიმღერების მელოდიურობის გამო, პატარებს მისი კომპოზიციების შესრულება განსაკუთრებით უყვართ. დღესაც მშვენივრად გამოუვიდათ, ვულოცავ მათ ამ წარმატებას“.*

სალომე წურწუმია, ქორეოგრაფი: *„ზღაპარ ქალაქში“ ხუთი წელია ქორეოგრაფად ვმუშაობ, დღევანდელი სპექტაკლისთვისაც ქორეოგრაფია მე გავაკეთე. ძალიან საინტერესოა ბავშვებთან მუშაობა, ყოველწლიურად იცვლებიან ისინი. აღსანიშნავია, რომ ეს ბავშვები არ არიან მოცეკვავეები, მაგრამ სიმღერასთან ერთად მშვენივრად ითვისებენ ქორეოგრაფიას. ძირითადად, მე მუსიკას ვარგებ ქორეოგრაფიულ ილეთებს.“*

ზაზა კავთუაშვილი, რეჟისორი: *„ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება მაქვს, სხვადასხვა სკოლაში ვდგამ ხოლმე სპექტაკლებს, ბოლო ზარს და ა.შ. რაც შეეხება დღევანდელ სპექტაკლს, მინდა გითხრათ, რომ აქ მონაწილე ბავშვები ყველა ერთნაირად ნიჭიერია. თავიდან გვქონდა პრობლემები დისციპლინასთან დაკავშირებით, მაგრამ რეპეტიციიდან რეპეტიციამდე ბავშვები ისე იცვლებოდნენ და იზრდებოდნენ, რომ საბოლოოდ ძალიან დიდი მონდომება გამოიჩინეს, მართლა ბევრი იშრომეს. ბავშვებმა მოხუცების როლიც მშვენივრად მოირგეს და ბავშვების როლიც. ბუნებრივია, მათ როგორც მსახიობებს პროფესიული კუთხით ვერ შევაფასებთ, მაგრამ იმდენად მონდომებულები არიან და იმდენად ნიჭიერები, რომ მართლაც კარგად გამოუვიდათ. რასაკვირველია, ეს სპექტაკლი არ იქნება ერთჯერადი, ალბათ, ერთად კიდევ ვიმუშავებთ. აუცილებლად მინდა აღვნიშნო ისიც, რომ საოცარი იმპროვიზაციის უნარი აქვთ და პატარა მომღერალ-მსახიობები ხშირად გვაოცებენ მუშაობის პროცესში. “*

მუსიკალურმა სკოლამ ცოტა ხნის წინ მონაწილეობა მიიღო თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ თეატრების ფესტივალში, სადაც ამ სპექტაკლიდან 15-წუთიანი მონაკვეთი წარმოადგინეს და მაყურებლისა და ჟიურის მოწონებაც დაიმსახურეს.

სპექტაკლის შემდეგ პატარა მომღერლებმა თავიანთი შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარეს:

მანო ბალიაშვილი: *„მე სპექტაკლს ვხსნი, პირველი გამოვდივარ. მართალი გითხრათ ვნერვიულობდი, მაგრამ ყველა მაქებს, კარგი იყოო და ამიტომ აღარ ვნერვიულობ. მეც ვფიქრობ, რომ კარგად გამომივიდა. ფერია ვარ, ეს ძალიან მიხარია. საერთოდ კი, ძალიან მიყვარს მუსიკალურ სკოლაში სიარული. მომწონს ჩემი მასწავლებლები, რეჟისორიც ძალიან მიყვარს. სპექტაკლის ფინალიც მომწონს, მოხუცებიც ჩვენთან ერთად თამაშობენ და ერთობიან.“*

ნინო საყვარელიძე: *„მე მოხუცის როლს ვთამაშობ, ძალიან მომწონს, მერე ბავშვის როლის თამაშიც მიწევს, მოხუცები ხომ შემდეგ ბავშვებად გადავიქცევით, მაგრამ მაინც მოხუცის როლი უფრო მომწონს. საერთოდ არ გამიჭირდა თამაში, ცხოვრებაშიც მიყვარს მოხუცები და, ალბათ, ამიტომ. დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ. სპექტაკლის ბოლოს მაყურებლის ოვაცია ძალიან სასიამოვნოა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოვეწონეთ.“*

მარიამ ცინცაძე: *„მე ბავშვის როლი ვითამაშე. შევასრულე ორი სიმღერა – „გაზაფხულის ზღაპარი“ და „ჯადოსნური გზები“. სულ არ ვნერვიულობდი იმიტომ, რომ სცენაზე პირველად არ გამოვდიოდი. მუსიკალური სკოლა ძალიან მიყვარს. მიყვარს ჩემი რუსუდან მასწავლებელი. ძალიან მიხაროდა რეპეტიციებზე სიარული. სალომე და ზაზა მასწავლებლებმა ბევრი რამ გვასწავლეს. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით.“*

სოფო ლანჩავა: *„მე ბავშვს ვთამაშობ. საერთოდ მსახიობობა ძალიან მომწონს, ჩემი ოცნებაა ცნობილი მსახიობი გავხდე. არ ვიცი, რა გამომივა.“*

საბა ცინცაძე: *„სპექტაკლში ბრაზიან ბაბუას ვთამაშობ. ბრაზიანი იმიტომ არის, რომ მას ბავშვები იმ სკამს ეცილებიან, რომელზეც სხვა მოხუცებთან ერთად ზის ხოლმე ეზოში და საუბრობს. ეს როლი მართლა ძალიან მომწონს, განსაკუთრებით ის მომენტი, როცა მოხუცები ბავშვთა ქვეყანაში გადავდივართ, ანუ ჩვენც ბავშვებად გადავიქცევით. სპექტაკლში ჩემი და – მაკაც მოხუცს თამაშობს. საერთოდ, მუსიკალურ სასწავლებელში 5 წელია დავდივარ და მართლა ძალიან მომწონს. კარგი პედაგოგები გვყავს.“*

ანი ვასაძე: *„სპექტაკლში ორი სიმღერა შევასრულე, ერთს ერქვა „მომღერალი პატარა“ და მეორეს– „ენძელა“. ორივე სიმღერა ძალიან მომწონს. საერთოდ, ძალიან მიყვარს სიმღერა, დიდი სურვილი მაქვს, თუ კარგი ხმა მექნება, მომღერალი გავხდე, ჯერ შვიდი წლის ვარ, ვნახოთ. ჩემი მუსიკალური სასწავლებელი მართლა ძალიან მომწონს, ფორტეპიანოს ხათუნა მასწავლებელი მასწავლის, ძალიან მიყვარს. სპექტაკლზე კი ყველაზე მეტი სიმღერის მასწავლებელმა, რუსიკო მასწავლებელმა იშრომა, ვფიქრობ, რომ დავუფასეთ.“*

* * *

ეს მათთვის აღიარების, წარმატებისა და მომავალი გამარჯვების გზაა... დაიწერება თუ არა მათი მომავალი წარმატებების შესახებ ეს მხოლოდ და მხოლოდ ამ ბავშვების ნიჭიერებასა და მონდომებაზეა დამოკიდებული. მიუზიკლად ქცეულმა „ბავშვობის ქვეყანამ“ კი კიდევ ერთხელ შეგვახსენა ეგზიუპერის უკვდავი სიტყვები: ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ.

ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** პროფესიულ კოლეჯში „იკაროსი“ სწავლების ახალი ცენტრი გახსნა. ცენტრში მსურველებს შეუძლიათ დაეუფლონ ლიფტების ელექტრომექანიკოსის პროფესიას. ბაზარზე აღნიშნულ პროფესიაზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა, რაც თავისთავად დასაქმების რეალურ შანსს იძლევა.

თბილისში, საცხოვრებელ სახლებში 10 000-მდე ლიფტია განთავსებული, ქუთაისში – 1000, აჭარაში – 1500, ზუგდიდში, ფოთში, კახეთისა და ქართლის რეგიონებში – 1000; საქართველოში, სხვადასხვა საცხოვრებელ თუ არასაცხოვრებელ ობიექტებში, სულ 15 000-მდე ლიფტია დამონტაჟებული. აგრეთვე, ქვეყნის მასშტაბით, განთავსებულია ატრაქციონები და ესკალატორები. აღნიშნული ლიფტები, ატრაქციონები თუ ესკალატორები შეკეთება-მომსახურებას საჭიროებს.

სახელმწიფო პროგრამით დედაქალაქში არსებული ლიფტების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ამასთან, მზარდია მოთხოვნა ახალი ლიფტების, ატრაქციონებისა და ესკალატორების აწყობა-დამონტაჟებაზე. პირებს, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა კომპანიებში ეწევიან შეკეთება-მომსახურებით საქმიანობას, არ გააჩნიათ თეორიული ცოდნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯში, საერთაშორისო ექსპერტებთან და სპეციალისტებთან ერთობლივად, შემუშავდა ლიფტების ელექტრომექანიკოსის სტანდარტი და პროგრამა. პროგრამის კურსს წაიყვანენ ამ დარგის გამოცდილი და წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც მოამზადებენ პროფესიონალ კადრებს, რაც მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიაა.

პროფესიულ კოლეჯში „იკაროსი“ 277 პროფესიული სტუდენტი ტურიზმისა და მომსახურების სფეროში სხვადასხვა პროფესიას ეუფლება. გარდამავალ ჯგუფებში სწავლობს 188 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ახალ პროგრამებზე – 89 სტუდენტი.

კოლეჯი ორიენტირებულია საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე და დამსაქმებლის სურვილზე, რომელიც მაღალი კლასის სერვისს ითხოვს. კოლეჯის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური კადრი ტურიზმისა და სერვისის ყველა იმ სფეროსათვის, რომელზეც მაღალი მოთხოვნაა.

„იკაროსში“ სპეციალისტების გადამზადება ტურიზმის მიმართულებით შემდეგ სპეციალობებზე მიმდინარეობს: მზარეული; ბარმენი; ოფიციანტი; სასტუმროს მიღება-განთავსებისა და დაჯავშნის სპეციალისტი; კულინარიული ხელოვნების სპეციალისტი; სარესტორნო საქმის სპეციალისტი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი.

ცენტრი აღჭურვილია უახლესი და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. კულინარიულ ხელოვნებას სტუდენტებს, სხვა მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, ასწავლის ცნობილი კულინარი მანუელი (**მანუელ ფაუნდეს ბარანდა**). ცენტრში ყველა პროფესიებში პრაქტიკული მეცადინეობებისთვის საჭირო კლასები და სახელოსნოებია (სამზარეულო, საკონდიტრო, სერვირების სასწავლო კლასი, ბარი).

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ირინე ქურდაძემ** ინკლუზიური სწავლების ათი წარმატებული და გამორჩეული პედაგოგი დაჯილდოვა.

დაჯილდოებული პედაგოგები წლების განმავლობაში ეფექტურად მუშაობდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, გამოირჩევიან ადეკვატური დამოკიდებულებით მათ მიმართ, კარგად ფლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის ტექნიკას, წარმატებულად თანამშრომლობენ მშობლებთან და მაქსიმალურად უწყობენ ხელს მოსწავლეების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

მასწავლებელთა შერჩევა მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შექმნილი კრიტერიუმების მიხედვით, რომელზე დაყრდნობითაც, 2 თვის განმავლობაში, სკოლებში მასწავლებლების იდენტიფიცირება მიმდინარეობდა.

პედაგოგებს 500, 400 და 300-ლარიანი ელექტროსაქონლის სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ.

ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ინკლუზიური განათლების დანერგვა, საქართველოს მასშტაბით, ასზე მეტ სკოლაში მიმდინარეობს. სამინისტრო ხელს უწყობს სკოლებს, მოახდინონ გარემოს ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, სკოლაში პედაგოგების რესურსის გაძლიერება, რათა მათ შეძლონ ხარისხიანი განათლების მიწოდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის ინკლუზიური განათლების საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ყოველწლიურად, 100.000 ლარზე მეტს ხარჯავს.

განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ ინკლუზიური განათლების დანერგვა, 2005 წლიდან, თბილისის 10 საპილოტე სკოლაში დაიწყო. 7 წლის განმავლობაში აღნიშნულ სკოლებში პედაგოგებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება დაუგროვდათ, ზოგიერთმა მათგანმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გაიზარდა ინკლუზიური განათლების მასშტაბებიც. ამჟამად, თბილისში, 60-მდე ინკლუზიური სკოლაა, სადაც მასწავლებლები ინკლუზიური განათლების ეფექტურად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა. მინისტრის პირველმა მოადგილემ მათ წარუდგინა სახელმწიფო პროგრამა – „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომელიც გულისხმობს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, სასკოლო საგნების ქართულ ენაზე სწავლებას.

პროგრამის ბაკალავრ მონაწილეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მაგისტრატურაში სწავლის სრულად დაფინანსებას და ყოველთვიურ ხელფასს სთავაზობს.

პროგრამის მონაწილეები არაქართულენოვან სკოლებში ადგილობრივ მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის ბილინგვურად წარმართვისას ან ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებისას დაეხმარებიან. სკოლებში ერთი აკადემიური წელი დარჩებიან. პროგრამის მონაწილეები, სასწავლო წლის დაწყებამდე, სპეციალურ ერთკვირიან ინტენსიურ მომზადებას გაივლიან, შეისწავლიან როგორც პედაგოგიკის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს, ისე წყვილში მუშაობის და ბილინგვური გაკვეთილის წარმართვის ტექნიკას.

* * *

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 317-მა წვევამდელმა საზეიმო ვითარებაში სამხედრო და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის ფიცი დადო. საგაზაფხულო წვევამდელებს შორის საგურამოს, თბილისისა და ბათუმის ბავშვთა სახლებიდან შერჩეული რამდენიმე ბენეფიციარი იყო, ვინც 18 წელს მიაღწია და სურვილი გამოთქვა იმსახუროს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ერთწლიან საკონტრაქტო სამსახურში.

ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი**, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელი **თამარ მახარაშვილი** და ზემოაღნიშნული ბავშვთა სახლების დირექტორები დაესწრნენ.

16 წელია, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ახორციელებს წვევამდელთა განვევას. წელს კი, პირველად სამსახურის ისტორიაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობისა და ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, დაიწყო ბენეფიციართა მიღება ერთწლიან საკონტრაქტო სამსახურში.

აღნიშნული ინიციატივა, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება, მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას ემსახურება. ბენეფიციარებს, საკონტრაქტო სამსახურის გავლის პერიოდში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური უზრუნველყოფს საცხოვრებლით, საკვებით, ხელფასით, პერიოდული პრემიებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევითა და სეზონური უნიფორმებით.

* * *

საგანმანათლებლო პროგრამის – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში, ინგლისურენოვან მოხალისე მასწავლებელთა ჩამოსვლა გრძელდება. ამჯერად, მორიგი ჯგუფი ამერიკიდან, ირლანდიიდან, კანადიდან, ახალი ზელანდიიდან და სამხრეთ აფრიკიდან ჩამოვიდა.

ინგლისურენოვანი პედაგოგები ტრენინგს გაივლიან და ახალი სასწავლო წლიდან აჭარის, იმერეთის, რაჭისა და კახეთის რეგიონების საჯარო სკოლებში გადანაწილდებიან. სექტემბერში, მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, მოხალისე პედაგოგები, ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან.

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროექტის ფარგლებში, ინგლისურენოვან პედაგოგთა ჩამოსვლისა და საჯარო სკოლების მოხალისე მასწავლებლებით შევსების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე**, გარემოს დაცვის მინისტრი **გოგა ხაჩიძე** და საქართველოში გაეროს ელჩის მოადგილე **ინიტა პაულოვიჩა**, გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, თბილისის კლასიკურ გიმნაზიას ეწვივნენ, სადაც „მწვანე სკოლების“ კონკურსის პრეზენტაცია გაიმართა და სკოლას საჩუქრად „მწვანე ყუთი“ გადაეცა.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება პროექტი – „შეაგროვე მაკულატურა, გადაარჩინე ტყე!“, რომელმაც მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მიმდინარე წელს გარემოს დაცვის სამინისტროს მთავარი დევიზია – „ბუნება თქვენს სამსახურში“.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, გამოაცხადა კონკურსი – „მწვანე სკოლები“.

კონკურსი მიზნად ისახავს საჯარო სკოლებში, მაკულატურის შეგროვების მიზნით, „მწვანე ყუთების“ განთავსებას, ასევე სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, 1 წლის შემდეგ, გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს ყველაზე „მწვანე სკოლის“ გამოვლენას.

მაკულატურის შეგროვების შემდეგ ქაღალდის გადამუშავება და მეორადი გამოყენება მოხდება. „მწვანე ყუთის“ მიზანია, მოსახლეობაში მაკულატურის შეგროვება-გადამუშავების კულტურის დამკვიდრება და ქაღალდის პარკების გამოყენების პოპულარიზება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

ელენე ახვლედიანი

თეატრალური ესკიზები



9-12 ივნისს, **ბაია გალერეაში**, ელენე ახვლედიანის თეატრალური ესკიზები გამოიფინა. ექსპოზიცია კულტურის სამინისტროსა და ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის ორგანიზებით მომზადდა. საექსპოზიციოდ შერჩეული ნამუშევრები თეატრში ინახებოდა და არასოდეს გამოფენილა, ბაია გალერეაში ელენე ახვლედიანის შემოქმედების მოყვარულებს პირველად მიეცათ ამ ესკიზების დათვალიერების შესაძლებლობა.

„ბიძია თომას ქოხი“ (რეჟისორი – მ. ვახნიანსკი, 1929 წ.) და „ზანგი ბიჭუნა და მაიმუნი“ (რეჟისორი – ნ. მარშაკი, 1929 წ.) – ამ ორი სპექტაკლისთვის ელენე ახვლედიანმა 17 ესკიზი 1929-30 წლებში შექმნა. საფრანგეთიდან დაბრუნებული მხატვარი აქტიურად თანამშრომლობდა კოტე მარჯანიშვილის თეატრთან, ამავდროულად, მოზარდ მაყურებელთა (რუსული) თეატრის სპექტაკლებისთვის ქმნიდა ესკიზებს. მის შემოქმედებაში თეატრალურ მხატვრობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

მიშა ანთაძე, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის მმართველი: *„ელენე ახვლედიანს მაშინდელი რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის გაფორმებული აქვს ორი სპექტაკლი – „ბიძია თომას ქოხი“ და „ზანგი ბიჭუნა და მაიმუნი“. იმ პერიოდში ის მარჯანიშვილის თეატრის მთავარი მხატვარი იყო, მაგრამ, ახალგაზრდული ენერგიით სავსემ, მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებიც გააფორმა.*

ესკიზები ჩვენი თეატრის საცავებში ინახებოდა. მოგეხსენებათ, ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრმა მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები გააერთიანა. ჩვენი თეატრი ყველა სპექტაკლის ესკიზებს ინახავს. ისევე, როგორც ყველა სხვა, ელენე ახვლედიანის მიერ შესრულებული ესკიზებიც სათანადო საქაღალდეებში ინახებოდა. გადავწყვიტეთ, გამოგვექვეყნებინა ჟურნალ „მოზარტში“. შემდეგ კი დაიბადა იდეა – არა მარტო გამოვაქვეყნოთ, არამედ გამოვფინოთ, იმდენად მაღალი ხარისხის მაღალპროფესიული ნამუშევრებია. ეს ხომ ელენე ახვლედიანია, უდიდესი მხატვარი.

შევუთანხმდით კულტურის სამინისტროს და ბაია გალერეას. როგორც ხედავთ, მივიღეთ ძალიან საინტერესო პატარა გამოფენა, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოების ინტერესს.

თებერვალში ჩვენი თეატრის არქივში დაცული ლადო გუდიაშვილის საზოგადოებისთვის უცნობი დიდი ტილო „ზეიმი მდინარის პირას“ გადავეცით საქართველოს თეატრისა და კინოს მუზეუმს. ეს არ იყო თეატრალური ესკიზი, არამედ – ფერწერული ნამუშევარი, ამიტომ ჩავთვალეთ, რომ სჯობდა ამ სურათს მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში დაედო ბინა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში არაერთი ცნობილი მხატვარი მუშაობდა. ნელ-ნელა, ვეცდებით, ყველა ესკიზი გამოვაქვეყნოთ ჩვენს ჟურნალში და, თუ იმსახურებენ, გამოვფინოთ.“

ბაია წიქორიძე, ბაია გალერეის მფლობელი: *„ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, ჩვენს გალერეაში ელენე ახვლედიანის 1929-30 წლებში შესრულებული ესკიზების გამოფენა გაიმართა. ეს ნამუშევრები აქამდე არც არსად დაბეჭდილა და არც გამოფენილა. ჩვენთვის ეს გამოფენა სწორედ იმით იყო საინტერესო, რომ აქამდე უცნობ ნამუშევრებზე იყო საუბარი. ჩვენი გალერეა, წლების განმავლობაში, მუშაობს ელენე ახვლედიანის ნამუშევრების აღმოჩენაზე.“*

დავით ცხადაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე: *„ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვეცა ელენე ახვლედიანის მაღალმხატვრულ ნამუშევრებთან შეხვედრის შანსი. ძალიან საინტერესო და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ესკიზებია. ეს გამოფენა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ქართული მხატვრობის, კერძოდ კი – თეატრალური მხატვრობის მრავალფეროვნებას. ყველას ვურჩევ, აუცილებლად ნახოს ეს გამოფენა.“*

საგამოფენოდ ბაია გალერეის შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. უკვე დიდი ხანია, ეს გალერეა ელენე ახვლედიანის უცნობი ნამუშევრების ძიებითაა დაკავებული. ხელოვნების მოყვარულებს ახსოვთ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც საინტერესო გამოფენა მოეწყო და მომზადდა ალბომი. მაშინ სწორედ ბაია გალერეის მიერ კერძო კოლექციებში მიგნებული უცნობი ნამუშევრები გამოიფინა და შევიდა ალბომში, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით მომზადდა.

„მის სამყაროს მისი პერსონალური ანაბეჭდი ახლავს. – წერს შესავალ წერილში პროექტის ხელმძღვანელი და კატალოგის მთავარი რედაქტორი ბაია წიქორიძე, – *ის აზროვნებს ხატვით და განიცდის ხატვით, უყვარს ხატვით. თბილისი და საქართველო მის თვალწინაა და მისი თბილისი და საქართველო ჩვენს თვალწინ. გვაცნობს, გვაყვარებს. ისე იცნობს, როგორც საკუთარ თავს, საკუთარ სხეულს. თბილისით საზრდოობს, არა მხოლოდ მხატვრობით გარდაქმნის და აელვარებს, დღესასწაულებს აწყობს: კონცერტებს, გამოფენებს, შეხვედრებს, მხატვრების ჯგუფთან ერთად პლენერებს, მხატვრის კვირეულებს. როგორც სიცოცხლეში დაატარებდა უცხოეთიდან ჩამოსულ მეგობრებსა თუ მისთვის უცნობ ადამიანებს, მხატვრების ჯგუფებს, მთელ საქართველოში და ისინიც, საქართველოს ელიჩკას თვალით ხედავდნენ, ასე დაგვატარებს ახლაც მისი სურათები იმ ადგილებში, სადაც ოდესმე უხატია და ყოველთვის გიჩნდება თანამონაწილეობის განცდა, იქ მყოფობის შეგრძნება, სურათის და ელენე ახვლედიანის სამყაროს საზღვრებში კვლავ მოხვედრის სურვილი. კარგია, თუ ეს წიგნი ამ სურვილს ნაწილობრივ შეავსებს.“*

მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებულმა პუბლიკაციამ ხელოვნების მოყვარულებს ნამდვილად აუსრულა ეს სურვილი. ბაია გალერეაში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა როგორც ელენე ახვლედიანის, ასევე სხვა ქართველი კლასიკოსი მხატვრების უცნობი შედევრების გამოფენები.

ლალი თვალაგეიშვილი

ნააზრევი

აკაკი წერეთლის ერთი პერსონაჟის შექსპირული წარმომავლობა

ქართულ ლიტერატურაში შექსპირული თემების, მოტივების, მეტაფორებისა თუ სხვა მხატვრული სახეების რეცეფციის, ანუ მიღება-ათვისების საკითხი, შეუსწავლელია. გივი გაჩეჩილაძის ისეთი დაკვირვებაც კი, როგორიცაა – *„შექსპირის მრავალი მონოლოგის მასალა და განწყობილება ბედნიერად დაემთხვა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ტრადიციას“* – არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი. ჯერ კიდევ ნაკლებად ვიცით, რა მიიღო ჩვენმა მწერლობამ შექსპირის სამყაროსაგან, თუმცა თავისთავად ეჭვს გარეშეა, რომ მის დრამატურგიას შეუძლებელია, რაიმე გამოძახილი არ ეპოვა ჩვენს მწერლობაში. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა „ჰამლეტის“ ავტორის პიესებს ქართული სცენის რეპერტუარში, რაოდენ დიდი ყურადღება მიიპყრეს „მეფე ლირისა“ და შემდგომ ივანე მაჩაბლის თარგმანებმა, უდავოა ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის პერიოდის მწერალთა ცნობიერებაში შექსპირი მუდმივი სულიერი თუ მხატვრული თანამგზავრის მნიშვნელობას იძენს.

გავიხსენოთ ტაეპები ვახტანგ ორბელიანის ლექსიდან „ძველ მეგობარს“ (1883):

მოდი, აქ მიძევს თვალთ წინა რუსთველის დიდი ქმნილება
იმის ფურჩვნილის ლექსებით სული და გული დავიტკბოთ
გეტე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ.

ქართულ ლიტერატურაში შექსპირის სამყაროს თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს აკაკი წერეთლის შემოქმედების ერთი საინტერესო მომენტი, კერძოდ, – მასხარას სახე ცალკეულ ნაწარმოებებში.

როგორც ცნობილია, სახალხო სანახაობათა და მირაკლების, კომედიურ ინტერმედიათა პერსონაჟი – მასხარა (ხუმარა) მტკიცედ დამკვიდრდა XVI-XVII საუკუნეების ევროპულ დრამატურგიაშიც. განსაკუთრებით დიდია მასხარას ფუნქცია შექსპირისა და კალდერონის პიესებში. XIX საუკუნის დრამატურგიისათვის მასხარას სახე არაა დამახასიათებელი და მით უფრო საყურადღებოა, რომ ეს პერსონაჟი გვხვდება აკაკი წერეთლის ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი“ (1884) და ისტორიულ დრამატიულ პიესაში „თამარ-ცბიერი“ (1885).

მიგვაჩნია, რომ მასხარას სახე აკაკის ნაწარმოებებში შექსპირის შემოქმედებით არის შთაგონებული. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის „მეფე ლირი“ ქართულად უკვე თარგმნილი იყო. ჯერ კიდევ 1860-იან წლებში თბილისში დაიდგა ცოცხალი სურათები ამ ტრაგედიიდან. 1879 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო მუშაობა ამ ტრაგედიის სცენური ხორცშესხმისათვის. მრავალი რეპეტიციის შემდეგ პირველი სპექტაკლი გაიმართა თბილისში 1880 წელს, ხოლო მოგვიანებით – ქუთაისსა და ბათუმშიც. სპექტაკლი დიდხანს შერჩა ქართულ რეპერტუარს. ლირის როლს კოტე ყიფიანი ასრულებდა და დადგმას დიდი წარმატება ხვდა.

აკაკი წერეთელი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ თეატრთან, ბუნებრივია, კარგად იცნობდა ამ დადგმას, რომელიც უთუოდ ერთ-ერთი სტიმული იყო იმისა, რომ მის ნაწარმოებებში დამკვიდრდა მასხარას სახე. ამ პერსონაჟის დამკვიდრებას უთუოდ ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მასხარა უკიდურესად კომედიური პერსონაჟია და დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ფოლკლორულ ჟანრებთან (ბერიკაობა და სხვ.), ანუ ისეთ საწყისებთან, რაც მეტად დამახასიათებელია აკაკის შემოქმედებისათვის. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ აკაკი წერეთელი შეუძლებელია გულგრილი დარჩენილიყო „მეფე ლირის“ ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის თარგმანისადმი, რომელშიც მასხარას ტექსტი დიდი ოსტატობით არის გადმოტანილი.

„მეფე ლირის“ თარგმანში სინონიმურად არის ნახმარი სიტყვები „ხუმარა“ და „მასხარა“, თუმცა პერსონაჟთა ჩამონათვალში გამოყენებულია „ხუმარა“.

„მეფე ლირში“ მასხარა თავის თავზე ამბობს:

„მე მართალია მასხარა ვარ, მაგრამ ვინც ამ ჩემს თქმულს მართლადა მასხრობაში ჩამომართმევს, აბა მითხარი იმას რა უნდა“.

წელს მასხარებს ლილახანა წაუხდათ,
მასხარობას ბრძენნი გვეცილებიან.

ასევე სინონიმურად იყენებს „ხუმარასა“ და „მასხარას“ აკაკი წერეთელი. მართალია, „თამარ-ცბიერის“ პერსონაჟთა ჩამოთვლაში ნახმარია „მასხარა“, მაგრამ ნაწარმოების ძირითად ტექსტში ამ სიტყვის სინონიმი – „ხუმარა“-ც არის გამოყენებული. „თამარ-ცბიერში“ მასხარა თავის თავზე ამბობს:

და ნაცვლად ყველა მედიდგულება,
ხან დამცინიან, ხან მაგინებენ.
მწარე ლუკმაა ხუმარას ლუკმა.

„თორნიკე ერისთავში“ ძირითადად „ხუმარას“ ვხვდებით: *„ყველას მეფის ხუმარა სჯობს“, „სთქვი, ხუმარავ, თუ რას ნიშნავს ეგე შენი გამოცანა“; „ხუმარადაც ვარგებულხარ“*; მაგრამ სიტყვის თამაშის (კალამბურის) სახით ამ ისტორიულ პოემაში „მასხარაც“ გვხვდება: *„ფეხებამდე მასხარაო“.*

როგორც ვიცით, შექსპირის პიესებში მასხარა მხოლოდ გარკვეულ სცენებში მონაწილეობს, ხოლო შემდეგ, ასე ვთქვათ, უგზო-უკვლოდ იკარგება. მაგალითად, „მეფე ლირის“ მეხუთე მოქმედებაში მასხარა აღარ ჩანს. შექსპირის ტრაგედიის მსგავსად, პოემაში „თორნიკე ერისთავი“ მასხარა მხოლოდ პირველი კარის დასაწყისში გვხვდება, ხოლო ხუთმოქმედებიან დრამატულ პოემაში „თამარ-ცბიერი“ მეორე მოქმედება ხუმარას გარეშე მიმდინარეობს.

როგორც შექსპირის, ასევე აკაკი წერეთლის მასხარა აღჭურვილია ამ პერსონაჟის კლასიკური ატრიბუტით – ჩაჩით. *„უსათუოდ ჩემი ჩაჩი უნდა გეხუროს... ნეტავ ორი ქალი მყოლოდა და თანაც ორი ჩაჩი მქონოდა“* – ეუბნება ხუმარა კენტს („მეფე ლირი“, II, 3). *„თავზე მხურავს ჩაჩი სულელ მასხარის“* – აცხადებს მასხარა პოემაში „თამარ-ცბიერი“ (III).

შექსპირისეული ხუმარები მიმართავენ სხვადასხვა კომედიურ ხერხებს, როგორიცაა: ზმა, ანდაზები, ირონია, სარკაზმი და სხვ. „მეფე ლირში“ ხუმარა ხშირად აყალიბებს ბრძნულ სენტენციებს, რომლებიც ყოველთვის ფოლკლორულ იერს ატარებენ. ამ მხრივ „მეფე ლირისა“ და „თამარ-ცბიერის“ ხუმარები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. შევადაროთ პარალელურად:

ბედი სწორედ უნამუსო ქალია,
ღარიბი სძაგს, მდიდრის ეშხით მთვრალია.
(„მეფე ლირი“)

ეს სოფელი სწორედ საგიჟეთია:
ყველა სჩემობს ჭკუას, გრძნობას, გონებას...
ვეღარ ვარჩევთ მართალს და მოჩვენებულს.
(„თამარ-ცბიერი)

ვინც სხვას მისცა თავისი საზრდო ქონება,
ყველას ჩხირად თვალში გაეწონება.
(„მეფე ლირი“)

ვინც ქვეყანაში გამოირჩევა,
აითვალწუნებს უმრავლესობა.
(„თამარ-ცბიერი“)

შექსპირისეული მასხარას ტექსტი მუდამ ერთი და იმავე რიტმული საზომით როდი არის გამართული. ყველა სხვა პერსონაჟებისგან განსხვავებით, „მეფე ლირის“ ხუმარა ხან პროზას მიმართავს, ხან სხვადასხვა საზომით აგებულ ლექსს:

1. *ჩიტსა გუგულის მზრდელსაო,*
გუგული თავს მოკვნეტსაო.

2. *ფლიდი ბრძენი ჭირში გასულელდებაო,*
სულელი კი, მოჰკლა, არ გაფლიდდებაო.

3. *რაც რომ იცი, სჯობს რომ იმას არ სთქმიდე.*
(„მეფე ლირი“).

ასევე რიტმული მრავალფეროვნებით ხასიათდება „თამარ-ცბიერის“ მასხარას მეტყველება:

1. *მაღლით ცეცხლის წვიმა მოდის,*
დაბლა დგება სისხლის ღვარი.

2. *კურდღელს რო ძაღლი ჩამოურჩება,*
აღარვინ აჭმევს მაშინ იმ ძაღლს პურს.

3. *მე აქ ჩემს თავს ვამცირებ და ვამდაბლებ:*
თავზე მხურავს ჩაჩი სულელ მასხარის.

შექსპირის მასხარა, როგორც საერთოდ ამ დრამატულ პერსონაჟს მოეთხოვება, ხშირად მიმართავს სარკაზმსა და უხეშ, „ვულგარულ“ ხუმრობას. „შენი ვირები წავიდნენ ცხენების მოსაყვანად“ – ეუბნება მასხარა ლირს მისი ქალიშვილებისა და სიძეების შესახებ. ამ ტიპის ენამახვილობა არც აკაკის მასხარასთვის არის უცხო. გავიხსენოთ ის ორაზროვანი მნიშვნელობა, რომელსაც იძენს პოემაში „თორნიკე ერისთავი“ სიტყვა „სულელი“ მასხარას გაშაირებაში ორბელიძესთან:

ხუმარადაც ვარგებულხარ
ვაჟკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს სულელიო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული კლასიკური დრამატურგიიდან ქართული მწერლობის ყურადღების ცენტრში უპირველესად შექსპირის შემოქმედება იმყოფებოდა. ამავე დროს იმ პერიოდის როგორც ქართული, ასევე თანადროული რუსული დრამატურგიისათვის უცხო იყო ისეთი პერსონაჟი, როგორიცაა მასხარა. ამგვარად, შექსპირის შემოქმედება, განსაკუთრებით – „მეფე ლირი“, წარმოადგენს თუ ერთადერთს არა, იმ ძირითად წყაროს, რომელიც შეიძლება სტიმული გამხდარიყო აკაკი წერეთლისათვის, რომ თავის შემოქმედებაში დაემკვიდრებინა ისეთი პერსონაჟი, როგორიცაა მასხარა.

ამგვარ ლიტერატურულ რეცეფციას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ხუმარა ერთობ ხელსაყრელი პერსონაჟია ანდაზების, ბრძნული გამოთქმების, ოხუნჯობისა და სარკაზმის გამოყენებისათვის, ანუ ყოველივე იმისათვის, რაც ეგზომ დამახასიათებელია აკაკი წერეთლის შემოქმედებისათვის. ის გარემოება, რომ ა. წერეთელი დაინტერესებული იყო შექსპირის შემოქმედებით, თავისებურად ვლინდება შემდეგ ფაქტში: 1890 წელს თბილისში გასტროლებზე ჩამოვიდა იმ დროის შექსპირის როლების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იტალიელი ტრაგიკოსი მსახიობი ერნესტო როსი (1827-1896) (უჩვენეს ტრაგედიები: „მეფე ლირი“, „ოტელო“, „ჰამლეტი“, „მაკბეტი“, „ვენეციელი ვაჭარი“, „რომეო და ჯულიეტა“). ქართულმა საზოგადოებამ მას დიდი ბანკეტი გაუმართა, რომელზეც ქართულად სიტყვით მიმართა აკაკი წერეთელმა: „შენ შენი ნიჭიერებით გვაგრძნობინე შექსპირის ძლიერება...“ აკაკიმ როსის ექსპრომტიც უძღვნა:

ოცნებით ვკითხე შექსპირის აჩრდილს:
შენ ხარ მთავარი, მგოსანთ უფროსი,
მაგრამ ვერ მივწვდი შენს მაღალ აზრებს,
და ვინ აგვიხსნის? – ერნესტო როსი!..

თამარ ნუცუბიძე

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის ახალი კორპუსი, კრიმინალისტიკისა და ტელე-რადიო ლაბორატორიები გახსნა.

ბიბლიოთეკის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამკითხველო თუ საკონფერენციო დარბაზები უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. ახალი ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი ფონდი, ანბანური ელექტრონული და სისტემატური კატალოგები სტუდენტებს კომფორტული და შეუფერხებელი მუშაობის საშუალებას სთავაზობს.

სამართლის ფაკულტეტზე გახსნილ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში სტუდენტები კრიმინალისტიკური ტექნიკის, საგამოძიებო ტაქტიკისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს დაეუფლებიან, როგორიცაა კვალთა და სხვა მტკიცებულებათა გამოვლენა, ფიქსირება და გამოკვლევა.

მომავალ ჟურნალისტებს კი, პრაქტიკული მეცადინეობები ამიერიდან სტუდიაში ჩაუტარდებათ. ახლად გახსნილი სატელევიზიო-სამაუწყებლო ლაბორატორიის სტუდია-პავილიონი ნებისმიერი ფორმატის სატელევიზიო გადაცემების მომზადების, ჩაწერისა და პირდაპირ ეთერში გასვლის საშუალებას იძლევა.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, კვალიფიციურ სპეციალისტებთან ერთად, თეორიული ცოდნის პარალელურად, სტუდენტთა უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პრაქტიკული ცოდნის დაუფლებაზეც ზრუნავს.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, სამინისტრო ყოველთვის მიესალმება და მომავალშიც მხარს დაუჭერს სასწავლო დაწესებულებათა ინიციატივას – იზრუნონ არა მარტო სასწავლო პროგრამების სრულყოფაზე, არამედ შექმნან თანამედროვე და კომფორტული სასწავლო ინფრასტრუქტურა.

სპორტი

SPORTUNIVERSIADA

დასრულდა საუნივერსიტეტო სპორტის ორგანიზებითა და კომპანია „რომპეტროლის“ დაფინანსებით მიმდინარე „სტუდენტური უნივერსიადა რომპეტროლ-2011“. მოგეხსენებათ, მის პროგრამაში სპორტის 20 სახეობა შედიოდა, გათამაშება კი ფრენბურთელთა ტურნირით დასრულდა, რომელსაც აგრარული უნივერსიტეტის სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 20 გუნდი მონაწილეობდა, ამათგან 12 ვაჟთა ტურნირში გამოვიდა, 8 – გოგონებში. მასპინძელთა გასახარად, ვაჟთა შორის მათმა გუნდმა იმარჯვა – ფინალში რუსთაველებს 3:0 მოუგეს. ბრინჯაოს მედლების მოსაპოვებლად თსუ-ს დიდი ბრძოლა გადახდა სტუ-სთან – დაძაბულ შერკინებაში 3:2 მოუგო.

სამაგიეროდ, თსუ-ელებმა გოგონებში იმარჯვეს და შედარებით იოლადაც – ფინალში საქართველოს უნივერსიტეტს 3:1 აჯობეს. აქ მასპინძლებს მესამე ადგილი ერგოთ – ილიას უნივერსიტეტს ამათაც 3:1 მოუგეს. ვაჟებში საუკეთესო მოთამაშედაც აგრარულის სტუდენტი **ნუგზარ კამლაძე** დაასახელეს, გოგოებში – ილიას უნივერსიტეტელი **ელა კაზარიანი**.

ამდენად, უნივერსიადა დასრულდა, გამარჯვება კი სტუ-მ მოიპოვა. მათ ყველაზე მეტი მედალიც დააგროვეს – 45 და ყველაზე მეტი ოქროც მოიპოვეს – 15. მათ ანგარიშზე 14 ვერცხლი და 16 ბრინჯაოა. 15 ოქრო დააგროვა ილიას უნივერსიტეტმა, მაგრამ სხვა პარამეტრებით ჩამორჩა და მეორეზე გავიდა – 11 ვერცხლი და 14 ბრინჯაო, ჯამში კი 40 მედალი. მოპოვებული ჯილდოების საერთო რაოდენობით ორივეს აგრარულმა უნივერსიტეტმა გაუსწრო – 50, მაგრამ აქ მთავარი ოქროს მედლების რაოდენობაა, ამ მხრივ კი მათი მონაგარი 11 ჯილდოა, სხვა ხარისხის მედლები, შესაბამისად – 15 და 24.

შაბათს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა, რომელსაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე, კომპანია „რომპეტროლის“ ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. მათ გამარჯვებულებს, ასევე, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცეს.

უნივერსიადის შედეგებით დაკომპლექტდება საქართველოს საუნივერსიტეტო ნაკრები, რომელიც აგვისტოში ჩინურ შენძენში გასამართ მსოფლიო უნივერსიადაზე იასპარეზებს. ოღონდ ამ გუნდს ერთი მონაწილე ახლავე გამოაკლდა – ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უნივერსიადის გამარჯვებული **გიორგი დათუნაშვილი** (74) სამწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მიზეზი გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდ პრიზზე“ მომხდარი ჩხუბია, როცა დათუნაშვილმა მსაჯს დაარტყა. აღნიშნულ პერიოდში ის ვერც ერთ ოფიციალურ ტურნირში ვერ იასპარეზებს და ვერც ნაკრებთან ერთად ივარჯიშებს. სპორტსმენი სამუდამო დისკვალიფიკაციას მხოლოდ იმ კაზუსის გამო გადაურჩა, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის დებულება ასეთ მკაცრ სასჯელს საერთოდ არ ითვალისწინებს, თუმცა უახლოეს ხანებში წესდებაში ეს პუნქტიც შევა.

შოთა ხაბარელის სახელობის

ძიუდოში ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ხაბარელს ამჯერად პატივი მშობლიურმა ქარელის რაიონმა მიაგო – იქაურ სასპორტო სკოლას მისი სახელი მიენიჭა, ამ უქმეებზე კი, ოლიმპიური გამოწვევის ეგიდით, ოლიმპიური ჩემპიონის სახელობის ტურნირიც გაიმართა. ის პირველად ჩატარდა და, ჯერჯერობით, მხოლოდ საქართველოს რაიონებს მოიცავდა, მომავალში განზრახულია მისი საერთაშორისო მასშტაბებში ჩართვა და უცხოელთა მოწვევა.

ტურნირში 1997-98 წლებში დაბადებული 200-მდე მოზარდი გამოდიოდა, რომელთათვისაც დიდი სტიმული იყო დარბაზში მყოფი ისეთი დიდი სპორტსმენების ხილვა, როგორებიც არიან: ოლიმპიური ჩემპიონები ძიუდოში **შოთა ხაბარელი** და **ზურაბ ზვიადაური**, ძალოსნობაში – **გიორგი ასანიძე** და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**. თუმცა, შეჯიბრება არანაკლებ ემოციური გამოდგა თავად ხაბარელისთვისაც, რომელმაც ასეთი პატივით მოგვრილი ემოცია 31-წლისწინანდელ განცდას შეადარა, როცა მოსკოვის ოლიმპიადის ფინალში კანადელი **ხუან ფერერი** დაამარცხა და ჩემპიონი გახდა.

შეჯიბრებაში, წონითი კატეგორიების მიხედვით, გაიმარჯვეს: გორელმა **რობინზონ ბეგლარიშვილმა** (38), ქარელელმა **გიორგი დოღანაძემ** (42), კასპელმა **დავით გეჯაძემ** (46), გურჯაანელმა **ალუდა ჩეკურიშვილმა** (50), გორელმა **ირაკლი გოგატიშვილმა** (55), თბილისელებმა – **ბესო მუმლაძემ** (60), **გიორგი ყალაბეგაშვილმა** (66) და **გიორგი ქანთარიამ** (+66).

სკოლების ჩემპიონატი კალათბურთში

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ახალგაზრდობის სპორტში მასობრივად ჩაბმის მიზნით, მორიგი ნოვაცია წამოიწყო – დედაქალაქის მასშტაბით, საჯარო სკოლებს შორის, პირველობებს ატარებს სპორტის 8 სახეობაში. პირველი მათგანი კალათბურთია, რომლის ტურნირიც დიღომში მდებარე „დინამოს“ სპორტულ ბაზაზე ჩატარდა. ვაჟთა შეჯიბრებაში ვაკე-საბურთალოს წარმომადგენელმა „კომაროვის“ სკოლამ გაიმარჯვა. ფინალში მათ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მე-20 საჯარო სკოლის გუნდს 25:7 აჯობეს. მესამე ადგილი გლდანი-ნაძალადევის გუნდმა დაიკავა. გოგოებში პირველობა არავის დაუთმო 192-ე საჯარო სკოლამ (ვაკე-საბურთალო), რომელმაც ფინალში გლდანი-ნაძალადევის ნაკრები 18:8 დაამარცხა. ბრინჯაოს მედალი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გუნდმა ირგუნა.

მედალოსნები სპორტის მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა**, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** და ეროვნული ნაკრების კანდიდატმა **თორნიკე შენგელიამ** დააჯილდოვეს. მათ იმედი გამოთქვეს, რომ მსგავსი შეჯიბრება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მოზარდი თაობის სპორტში ჩაბმის გარდა, ახალი ტალანტების წარმოჩენასაც შეუწყობს ხელს. მინისტრის თქმით, კალათბურთელთა ტურნირი ზაფხულშიც გაგრძელდება, ოღონდ უკვე – მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კასპიის თასზე ესპანეთმა შეგვაჩერა

საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები ბაქოში „კასპიის თასზე“ გამოდის. ჩვენები ჯგუფში ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და ესპანეთის გუნდებთან ერთად მოხვდნენ, სადაც აზიელები პირწმინდად დაჩაგრეს – ყაზახებს 5:1 მოუგეს, ტაჯიკებს – 5:0. ამ შეხვედრებში თავი ყველაზე მეტად ალეკო მზევაშვილმა გამოიჩინა, რომელმაც ორივე შეხვედრაში დუბლი შეასრულა, დანარჩენი გოლები კი ახვლედიანის, მაჭავარიანის, მელიქიძის, ჭეჭელაშვილის, კაკაბაძის და დარციმელიას ანგარიშზეა.

ჩვენებს ჯგუფის უმთავრესი შეხვედრა ევროპელებთან ელოდათ – გამარჯვებული ფინალის საგზურს იღებდა. ქართველთა მსგავსად, შუააზიელებს იმათაც ძალზე ადვილად, ოღონდ ჩვენზე უფრო დიდი უპირატესობით მოუგეს. სწორედ ამიტომ ბურთების უკეთესი შეფარდებით გვისწრებდნენ და ჯგუფში პირველობას მხოლოდ მათთან გამარჯვება თუ მოგვიტანდა. ეს იმთავითვე შეუსრულებელი ამოცანა ჩანდა, რადგან ესპანელები ტურნირის ფავორიტები არიან. მათ პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც. ჩვენებმა კი, რაც შეძლეს, ეს ანგარიშის გათანაბრება იყო. საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ დასრულდა – 1:1 და ქართველებსაც მეორე ადგილი ერგოთ. ისინი ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლებენ – საამისოდ აზერბაიჯანელებს შეხვდებიან, ფინალში კი ესპანეთისა და თურქეთის გუნდები ითამაშებენ.

რუბრიკას უძღვება ***ირაკლი თავაძე***

„ახალი განათლების“ წიგნის თაროზე

სიახლე!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია გლობალურ კონტექსტში, უნიკალური ილუსტრაციებით, რუკებითა და ფოტომასალით.

ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა უამრავ საკვირველ და თანაც ნამდვილ ამბებს ადამიანებზე, ქვეყნებსა თუ მოვლენებზე, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ეს წიგნი დაგეხმარებათ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობისას, რადგან აქ მსოფლიოს ისტორიის თითოეული ეტაპი ამა თუ იმ ქვეყანასთან, კონტინენტებთან მიმართებაში დაწვრილებით, თემატურადაა განხილული – დასაბამიდან დღემდე – ქვის ხანის ადამიანებიდან რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრებული.

წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე და მთელ მსოფიოში უნიკალურ სამაგიდე წიგნადაა აღიარებული.

ზომა: A4, 496 გვერდი, მაგარ ყდაში, სუპერგარეკნით.

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია



წიგნში მოცემულია 1000-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია. გაეცნობით ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ობობების და სხვა უხერხემლოების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას. წიგნი შედგენილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

მოიცავს ყველა ძირითად ეტაპს ხელოვნებაში, რენესანსიდან დაწყებული XX საუკუნის მასკულტურით დამთავრებული. ტექსტითა და უხვი ილუსტრაციებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიდ მხატვრებსა და ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობებზე. კონკრეტული მხატვრების ნამუშევრები ანალიტიკურ მოდულებშია გამოყოფილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს და დააფასოს მათი უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკა. წიგნში მოთხრობილია ხელოვნებაში წლების წინ დამკვიდრებული თემებისა და ჟანრების შესახებ, როგორიცაა შიშველი ფიგურა, ნატურმორტი, პეიზაჟი, ქალაქური ცხოვრება და სხვ.

ვაცნობიერებთ რა ამ ენციკლოპედიების მნიშვნელობას სკოლებისა და პედაგოგებისთვის გთავაზობთ გრანდიოზულ ფასდაკლებას:

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია – 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია – 26 ლარი
ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია – 30 ლარი

ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ
30 ივნისამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

ჯეგროვნიერთდით!

სიახლე!

გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიიდან სამი ახალი ტომი:

ფიოდორ დოსტოევსკი – „მკვდარი სახლის ჩანაწერები“
სტენდალი – „წითელი და შავი“
შოდერლო დე ლაკლო – „სახიფათო კავშირები“

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K